პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ნოემბერი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 274 (14270)

ᲩᲘᲚᲓᲝ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ტვირთის მიწოდების დაჩქარებაში და გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებაში მიღწეული წარმატებებისათვის ამერკავკასიის რკინიგზელთა კოლექტივმა კვლავ პირველობა მოიპოვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოებულია სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა რკინიგზის კოლექტივისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, შეკრიბნენ წარმოების მოწინავენი, სტრახსპორტო საწარმოთა და მშენებლობათა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

საზეიმო კრებას ხსნის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბ. სოგბეტოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუიძემ რკინიგზის მრავალათასიან კოლექტივს მიულოცა მაღალი ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ამერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. ქადაგიძეს.

ამბ. ქადაგიძემ მადლობა გადაიხადა რკინიგზელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის და თქვა, რომ ამერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივი ახალ შრომითს წარმატებებს მიაღწევს. შემდეგ გამოვიდნენ კომუნისტური შრომის დამკვრელები, სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე გ. დანელია, თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ინჟინერი დ. ოთხავა და სადგურ ერევნის მატარებლების შემდგენელი ა. გალუსტიანი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მაგისტრალის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი სახელოვანი საქმეებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

11 თვის გეგმა შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ.). შრომის მაღალი ტემპი არ ფერხდება სტალინის სახელობის შახტის (უფროსი გ. რაზმაძე) ღრმა მიწისქვეშა ჰორიზონტებზე, საიდანაც ნაკადად მოედინება „შავი ოქროს“ უხვი მდინარე. მოწინავე საამო საწარმომ, რომელიც ტულელ მეშახტეებს ეჯიბრება, სამშობლოს ერთი თვით ადრე უპატაკა საკოქსე ქვანახშირის მოპოვების 11 თვის გეგმის შესრულება. ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებს გეგმის გადამეტებით უკვე გაეგზავნა 50 ეშელონი სათბობი.

1969 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ზვარეს მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი (დირექტორი შ. ბერაძე). იქ ათ თვეში შესრულეს ხუთწლედის მესამე წლის დავალება და პროდუქციის 1969 წლის ანგარიშში უშვებენ. მიღებულია ათეულ ათასობით მანეთი მოგება.

ᲤᲐᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲑᲝᲗᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოო სწავლობა-კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ათი თვის დავალება. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 8 მილიონ 278 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 7 მილიონ 251 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის ნაწარმი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲗᲛᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲖᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ, ᲕᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲯᲐᲢᲝᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲛᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲛᲐ, ᲒᲣᲜᲐᲗᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲨᲘᲡᲐᲓᲛᲐ, „ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ, ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲖᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲛᲐ, ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲖᲔᲚᲝ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲛᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲛᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲭᲐᲗᲐᲛ, ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲐᲜᲓᲒᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადებში ბევრად გადავაჭარბოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს. კვლავ ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება მოსავლიანობის მკვეთრი ალმავლობის საფუძველზე; მეცხოველეობის ყველა ღონისძიებით განვითარება.

ეს ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმმა განსაზღვრა როგორც კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტი.

როგორ იბრძვიან ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფრონტზე ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები?

კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის კარგი ცნობები სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი კონკრეტულ განსახიერებას პოულობენ სოფლის მშრომელთა სასახელო საქმეებითა და გეგმებით.

ნაყოფიერად შრომობენ მეცხოველეობის ფერმების მუშაკები. მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები. ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მეცხოველეებმა ვადაზე ორი თვით ადრე უპატაკეს სამშობლოს, რომ გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმები.

მაგრამ იბადება კითხვა: ყველგან საჭირო მონდომებითა და ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან თუ არა ჩვენი მეცხოველეები მათთვის მინდობილ საქმეს?

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით არიან ისეთი რაიონები, სადაც საზოგადოებრივ მეცხოველეობას და, მაშასადამე, პროდუქტების წარმოებასაც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. ამის შედეგად სახელმწიფოს დიდძალ მეცხოველეობის პროდუქტებს აკლებენ.

სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება და წლის რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 78.4 პროცენტით. ამ მხრივ ჩამორჩებიან აგრეთვე დმანისის რაიონის მეცხოველეებიც.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ის დიდი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში, აგრეთვე 1971-1975 წლებში დასახულია სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე, მოითხოვენ მთელი რიგი გადაუდებელი საკითხების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია მეცხოველეობის მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებასთან და ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციასთან.

მეცხოველეებისათვის ყველაზე რთული და პასუხსაგები პერიოდი დადგა. მათი შემდგომი მუშაობის წარმატება ბევრად დამოკიდებულია გამოზამთრების შედეგებზე. ზამთარში ყველაზე მეტი ჭაფა მეცხოველეობის ფერმის მომუშავეებს ადგათ, ოთხი, ხუთი თვის, ზოგან მეტი ხნის განმავლობაში პირუტყვი ბაგურ კვებაზეა გადაყვანილი. საქონელი კარგად რომ გამოვაზამთროთ, ამათვის საჭიროა განსაკუთრებულ მზრუნველობას ვიჩენდეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი, გვქონდეს კეთილმოწყობილი სადგომები, უხვად იყოს საკვები, ფერმაში შექმნილი იყოს ყველა პირობა იმისათვის, რომ ზამთარშიც არ შევამციროთ წველადობა, შევქმნათ ყველა პირობა იქ მომუშავე ადამიანთა ნაყოფიერი შრომისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის მეცხოველეებმა ცოტა რიდი იშრომეს, რომ საკმარისად მოემარაგებინათ საკვები პირუტყვისათვის. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის მუშაკების ორგანიზებულობასა და ენერგიაზე, მათს უნარზე — დარაზმონ მეცხოველეები პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

სამწუხაროდ, ყველგან ჯეროვანი ყურადღებით როდი ეკიდებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკითხებს. მაგალითად, ასპინძის რაიონში არ მყოფნით პირუტყვის საკვები. წყალტუბოსა და ჯაზბეგის რაიონებსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სანახევროდაც არ შეუსრულებიათ უხეში საკვების მომარაგების წლიური გეგმები, სილოსის დამზადების მხრივ ბევრი მუშაობა მოუხდებათ ამბროლაურის და სხვა რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის ასსრ მშრომელებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შემოსავლში უნდა გავატაროთ და აღვრიცხოთ მთელი საკვები, უზრუნველვყოთ მისი კარგად შენახვა. თვითეულ მეურნეობაში, თვითეულ ფერმაში პირუტყვის პროდუქტიულობის დონისა და რეალურ შესაძლებლობათა შესაბამისად უნდა დაწესდეს საკვების ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები. არც ერთი კილოგრამი მარცვალი, თივა, ჩალა, ძირხვენები და სილოსი არ უნდა დაიხარჯოს ისე, რომ არ მოგვცეს მნიშვნელოვანი უკუმოგება.

პირუტყვის გამოზამთრების წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილნი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკვების გადასამუშავებელი მანქანებით, რამდენად უნარიანად იყენებენ ამ მანქანებს. ამჟამად ფერმებში აქვთ უხეში და წვნიანი საკვების დასაქუცმაცებელი, ორთქლის წარმომქმნელი, შემზავებელი, საწველი და სხვა მექანიზმები. ეს ტექნიკა საშუალებას იძლევა არა მარტო გავადიდოთ საკვების გამოყენების ეფექტიანობა, არამედ კიდევაც შევამსუბუქოთ მეცხოველეთა მუშაობა, გავადიდოთ მათი შრომის ნაყოფიერება.

როგორც ცნობილია, ათასობით სული პირუტყვი ზამთარს ატარებს სამომთბარეო საძოვრებზე — კასპისპირეთში. საძოვრებზე წელს შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთის და სხვა რაიონების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა ყველაფერი უნდა იღონონ და საინიმუშოდ გამოზამთრონ სამომთბარეო საძოვრებზე პირუტყვი.

ფერმის მუშაკებს დიდი საქმეები მოელით. სოფლის პარტიული ორგანიზაციების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მოვალეობაა დაეხმარონ მათ, რათა წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება, კარგი საფუძველი ჩაუყარონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას 1969 წელს — ეს იქნება მეცხოველეთა პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1968 წლის 18-21 ნოემბერს ბუდაპეშტში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

სხდომაში მონაწილეობდნენ შემდეგი 67 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები: ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტია, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, არგენტინის კომუნისტური პარტია, ავსტრალიის კომუნისტური პარტია, ავსტრიის კომუნისტური პარტია, ბელგიის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბოლივიის კომუნისტური პარტია, ბრაზილიის კომუნისტური პარტია, ცეილონის კომუნისტური პარტია, ჩილეს კომუნისტური პარტია, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტია, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, დანიის კომუნისტური პარტია, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია, დომინგოს კომუნისტური პარტია, ეკვადორის კომუნისტური პარტია, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტია, ფინეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, გვადელუპის კომუნისტური პარტია, გვატემალის შრომის პარტია, ჰაიტის სახალხო ერთიანობის პარტია, ჰონდურასის კომუნისტური პარტია, ინდოეთის კომუნისტური პარტია, ირლანდიის მუშათა პარტია, ერაყის კომუნისტური პარტია, ირანის სახალხო პარტია, ისრაელის კომუნისტური პარტია, იორდანიის კომუნისტური პარტია, კანადის კომუნისტური პარტია, კოლუმბიის კომუნისტური პარტია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, ლიბანის კომუნისტური პარტია, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, ბანთვისუფლებისა და სოციალიზმის პარტია (მაროკო), მარტინიკის კომუნისტური პარტია, მექსიკის კომუნისტური პარტია, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, დასავლეთ ბერლინის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, გერმანიის კომუნისტური პარტია, ნიკარაგუას სოციალისტური პარტია, იტალიის კომუნისტური პარტია, პარაგვაის კომუნისტური პარტია, პერუს კომუნისტური პარტია, პორტუგალიის კომუნისტური პარტია, რეუნიონის კომუნისტური პარტია, რუმინეთის კომუნისტური პარტია, სალვადორის კომუნისტური პარტია, სან-მარინოს კომუნისტური პარტია, ესპანეთის კომუნისტური პარტია, შვეიცარიის შრომის პარტია, სირიის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სუდანის კომუნისტური პარტია, თურქეთის კომუნისტური პარტია, ტუნისის კომუნისტური პარტია, ურუგვაის კომუნისტური პარტია, ვენესუელის კომუნისტური პარტია და კიდევ ერთი არალეგალური პარტია, რომლის სახელწოდება ნახსენები არ არის მისი უშიშროების მოსაზრებით.

ნორვეგიის კომუნისტური პარტიისა და შვეიცის მემარცხენე პარტიის კომუნისტების წარმომადგენლები სხდომაში მონაწილეობდნენ მეთვალყურეებად.

მოკლა რიგმა პარტიებმა, რომლებმაც წარმომადგენლები ვერ გამოგზავნეს, მოსამზადებელ კომისიას გამოუგზავნეს შესაბამისი წერილები.

მოსამზადებელმა კომისიამ იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც მიაღწიეს წინა, 1968 წლის სექტემბერ-ოქტომბრის სხდომაზე, განიხილა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევისა და მისი შემდგომი მომზადების წესის საკითხი. ფართო და ყოველმხრივი განხილვის შედეგად მოსამზადებელი კომისიის მონაწილეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი მოიწვიოს მოსკოვში 1969 წლის მაისში შემდეგი დღის წესრიგით, რომელიც განისაზღვრა საკონსულტაციო შეხვედრაზე: „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“.

მოსამზადებელი კომისიის მონაწილეებმა აგრეთვე დათქვეს, რომ 1969 წლის 17 მარტს მოსკოვში მოიწვიოთ კომისიის მორიგი სესია, რომელიც განიხილავს მომავალი თათბირის დოკუმენტების პროექტებს, გამოიტანს გადაწყვეტილებებს თათბირის მოწყობის საორგანიზაციო საკითხებზე და განსაზღვრავს მის ზუსტ თარიღს. კომისიის მონაწილეებმა დაავალეს სამუშაო ჯგუფს დაამთავროს თათბირის დოკუმენტების პროექტების მომზადება მოსამზადებელი კომისიის შემდეგი სხდომისათვის.

კომისია ადასტურებს, რომ იწვევს ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიას, მათ შორის იმათაც, რომლებიც არ მონაწილეობენ თათბირის მომზადებაში, ჩაებან ამ მუშაობაში.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიისა და რეუნიონის კომპარტიის წარმომადგენლები, რომლებიც პრინციპულად ეთანხმებიან თათბირის მოწვევას, თავიანთი პარტიების საბოლოო აზრს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ კომისიას შეატყობინებენ თავიანთი პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ. სხვა დელეგაციებმა ეს კომუნიკე ერთხმად მიიღეს.

მოსამზადებელი კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა აზრთა თავისუფალი ურთიერთგაზიარების ატმოსფეროში და ამხანაგური თანამშრომლობის სულისკვეთებით. მან ცხადყო კომუნისტური და მუშათა პარტიების მტკიცე გადაწყვეტილება განამტკიცოს თავიანთი მეგობრობა და სოლიდარობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

• • •

სხდომაში მონაწილე ყველა პარტიის დელეგაციებმა მზურვალე მადლობა გადაუხადეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ძმური სტუმართმოყვარეობისა და მოსამზადებელი კომისიის მუშაობის ორგანიზაციის ჩინებული პირობების შექმნისათვის. უნგრეთის კომუნისტთა პარტიის შექმნის 50 წლისთავის გამო მათ სულითა და გულით უსურვეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წევრებსა და მთელ უნგრელ ხალხს ახალი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

67 პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის ნოემბრის სხდომაში, მხურვალედ მიესალმებიან ვიეტნამელი ხალხის ამასწინანდელ წარმატებებს მის გმირულ ბრძოლაში.

ის ფაქტი, რომ ამერიკის იმპერიალიზმი იძულებული გახდა სავსებით და უპირობოდ შეეწყვიტა დაბომბვა და სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე პარიზში, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციამ, ვიეტნამელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს პროგრესისა და მშვიდობის ძალების დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

კომუნისტური და მუშათა პარტიები კვლავ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც განაგრძობს ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, და შეინარჩუნებენ სიფხიზლეს მისი ხრიკების მიმართ. ისინი კვლავაც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად გააჩაღებენ ბრძოლას იმისათვის, რომ მიაღწიონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი დამქაშების ჯარების მთლიანად გაყვანას ვიეტნამიდან და უზრუნველყონ ვიეტნამელი ხალხის უფლება თვითონ წყვეტდეს თავის საქმეებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის ვითარებაში.

1968 წ. 21 ნოემბერი. ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲢᲙᲪᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲐ. ᲛᲗᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ, ცხინვალისკენ მიმავალ გზატკეცილთან დიდი მშენებლობა გაჩაღებულა. მთელ დღეს გუგუნებენ ბულდოზერები და ექსკავატორები, მრავალტონიანი ამწეები. წარმოებს სამშენებლო სამუშაოები გორის წყალსადენის გასაფართოებლად. რეკონსტრუქციის შემდეგ წყალსადენი ორჯერ მეტ წყალს მიაწვდის ქალაქ გორს, ვიდრე ახლა.

აქ სამუშაოებს აწარმოებს მექანიზაციის ტრესტის № 9 სამმართველოს კოლექტივი. თუმცა მშენებლები აქ მხოლოდ წელს მოვიდნენ, მაგრამ მათი ბეჯითი შრომის შედეგები უკვე თვალწინ გვაქვს. შესრულებულია ათასობით კუბმეტრი მიწის სამუშაოები, ქვიანი ველი ღრმა ტრანშეას გადაუსერავს, გაჩაღებულია დიდი დიამეტრის წყალსადენი მილების შედუღება, იზოლაცია და ჩაწყობა.

მშენებლობაზე თავი გამოიჩინა ბევრმა მუშაკმა: მიწის სამუშაოთა მექანიზატორებმა — ბულდოზერისტებმა, მეექსკავატორეებმა, ამწის მემანქანეებმა, ელექტროშემდუღებლებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ვ. ლომიძე, ლ. მელაძე, პ. გელაშვილი და სხვები.

გორის წყალსადენის მშენებლები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვალდებულება იკისრეს კარგი საჩუქარი მისცენ ქალაქს — ყველა სამუშაო დაამთავრონ ვადამდე.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ქვემოთ — მოწინავე მეექსკავატორე პ. გელაშვილი, ზემოთ — ახალი წყალსადენის მილების ჩაწყობა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ:

ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ 1968 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲯᲝᲯᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲕᲐ

თბილისი, 1968 წლის 22 ნოემბერი.

ᲓᲦᲔᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში შედგება

ᲥᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ 26 ᲑᲐᲥᲝᲛᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲚᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ

ᲡᲐᲯᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲧᲝᲤᲘᲚ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

საზეიმო კრებაზე ამერკავკასიის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის დაარსების 45 წლისთავის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მახარაძე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ, ცხინვალისკენ მიმავალ გზატკეცილთან დიდი მშენებლობა გაჩაღებულა. მთელ დღეს გუგუნებენ ბულდოზერები და ექსკავატორები, მრავალტონიანი ამწეები. წარმოებს სამშენებლო სამუშაოები გორის წყალსადენის გასაფართოებლად. რეკონსტრუქციის შემდეგ წყალსადენი ორჯერ მეტ წყალს მიაწვდის ქალაქ გორს, ვიდრე ახლა.

აქ სამუშაოებს აწარმოებს მექანიზაციის ტრესტის № 9 სამმართველოს კოლექტივი. თუმცა მშენებლები აქ მხოლოდ წელს მოვიდნენ, მაგრამ მათი ბეჯითი შრომის შედეგები უკვე თვალწინ გვაქვს. შესრულებულია ათასობით კუბმეტრი მიწის სამუშაოები, ქვიანი ველი ღრმა ტრანშეას გადაუსერავს, გაჩაღებულია დიდი დიამეტრის წყალსადენი მილების შედუღება, იზოლაცია და ჩაწყობა.

მშენებლობაზე თავი გამოიჩინა ბევრმა მუშაკმა: მიწის სამუშაოთა მექანიზატორებმა — ბულდოზერისტებმა, მეექსკავატორეებმა, ამწის მემანქანეებმა, ელექტროშემდუღებლებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ვ. ლომიძე, ლ. მელაძე, პ. გელაშვილი და სხვები.

გორის წყალსადენის მშენებლები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვალდებულება იკისრეს კარგი საჩუქარი მისცენ ქალაქს — ყველა სამუშაო დაამთავრონ ვადამდე.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

**ᲡᲣᲠ

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა საკგენტოები იუწყებიან

ეწევიან ცილისმწამებლურ კამპანიას

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე კომიტეტში ამერიკის დელეგაციამ ყოველნაირად ცდილობს ჩაფუშოს აბრამსიის საქართველოსადმი ცნების დამდგენი კომიტეტის მუშაობა. ამ ცნების დადგენა დამატებითი დაბრკოლება იქნებოდა შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის გზაზე. ამ საძრახისი მიზნით ამერიკელმა დიპლომატებმა გაშალეს ცილისწამების კამპანია, ცდილობენ დაამტკიცონ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა და დაამორონ კომიტეტი განსახილველი საკითხის არსს.

ამერიკის წარმომადგენელნი, რომლებიც ვერ მალავდნენ თავიანთ სურვილს ჩაეფუშათ კომიტეტის მუშაობის წარმატებით დამთავრება, ამ ბოლო დღეებში სხდომის მონაწილეებს დროს არომეველნენ „ჩეხოსლოვაკიის ამბებზე“ ლაპარაკით. ამერიკელი დიპლომატები ამართლებდნენ იმპერიალისტური წრეების ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და ამასთან ცდილობდნენ ბრალი დაედოთ საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ „ძალას იყენებენ“ ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მეექვსე კომიტეტში შემთხვევით როდი გაუსვა ხაზი, რომ აგრესიის საერთაშორისო ცნების დადგენა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ცნებას „არაპირდაპირი და იდეოლოგიური აგრესიისას“, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები სულ უფრო დიდი მასშტაბით იყენებენ. ასეთი ცნების დადგენა, ეჭვი არ არის, დაეხმარება მშვიდობისმოყვარე ხალხებს მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ამ განცხადებას გაგებით და მხარდაჭერით შეხვდა კომიტეტის წევრთა დიდი უმრავლესობა.

მაგრამ ამერიკის დელეგაციამ ამჯობინა ამის საპასუხოდ გამოსულიყო ცილისწამებით საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ამკარად აარიდეს თავი პასუხის გაცემას საბჭოთა დელეგატის პირდაპირ კითხვაზე, აპირებს თუ არა შეერთებული შტატები ხელი აიღოს ძირგამომთხრელ საქმიანობაზე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ, აგრესიულ განზრახვებზე სხვა ქვეყნების მიმართ, მათ საშინაო საქმეებში თავსხედურ ჩარევაზე.

ამგვარ ბოროტგანზრახულ საქმიანობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იხარჯება მილიონობით დოლარი, ასეთ საქმიანობას ეწევიან მთავრობის ოფიციალური ორგანიზაციები.

ამერიკის დელეგაციის ცდები წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიის საერთაშორისო ცნებაში „არაპირდაპირი და იდეოლოგიური“ აგრესიის ცნების შეტანას, მოწმობს იმას, რომ ძირგამომთხრელი საქმიანობის ეს ფორმა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის კვლავ ერთ-ერთი ელემენტია.

ლონდონი. აქ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის ჯარები ვიეტნამში იყენებენ ელექტრონულ მოწყობილობას, რომელსაც ინგლისის კომპანია „ელიოტ ოტომეიშენ ლიმიტედი“ აწარმოებს.

სურათზე: მჯდომარე დემონსტრაციის მონაწილენი ფირმა „ელიოტ ოტომეიშენ ლიმიტედის“ გამგეობის შენობის წინ.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ექსტრემისტულ პოზიციებზე

ბეირუთი, 21 ნოემბერი. (საკდესი). **უკანასკნელ დღეებში ისრაელის ხელმძღვანელი მოღვაწენი სულ უფრო სწორად აკეთებენ ექსტრემისტულ განცხადებებს.** ტელ-ავივიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელის კნესეტის (პარლამენტის) წინაშე გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი აბა ებანი. ებანმა უარყო არაბულ სახელმწიფოთა სამშვიდობო ინიციატივა, რომელსაც საფუძვლად უდევს ის, რომ ყველა მხარემ შეასრულოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, და ცდილობდა გაემართლებინა ისრაელის ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ებანმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცვლელია ისრაელის პოლიტიკა იერუსალიმის არაბული ნაწილის ანექსიის საკითხში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაიმ მოშე შაპირომ ტელ-ავივში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების მომავალი მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, თუ არაბული სახელმწიფოები „მზად იქნებიან ზავისათვის“. ისრაელ პოლიტიკოსთა ფრაზეოლოგიით ეს ნიშნავს, რომ დაპყრობილი მიწების ნაწილის დაბრუნების პრობლემას ტელ-ავივში უკავშირებენ იმას, რომ არაბული სახელმწიფოები დათანხმდნენ საზაიო მოწესრიგების ისრაელის პირობებს.

ძალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისში ყველა მომუშავე ქალმა რომ გაფიცვა გამოაცხადოს, მთლიანად გაჩერდება მრეწველობა და ვაჭრობა, განაცხადა სავაჭრო და განმანაწილებელი ქსელის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენელმა ს. პეიჯმა. მან სიტყვა წარმოთქვა ლონდონში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს ქალებისათვის მამაკაცებთან თანაბარი შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საკითხს.

ამჟამად ინგლისის 9 მილიონი მშრომელი ქალი შეადგენს ინგლისის მთელი მუშახელის 34 პროცენტს. მაგრამ ათი მომუშავე ქალიდან ცხრა ორჯერ ნაკლებ ანაზღაურებას იღებს მამაკაცებთან თანაბარი შრომისათვის.

სამსჯავრო ათენში

ათენი, 22 ნოემბერი. (საკდესი). **ათენის საგანგებო სამხედრო ტრიბუნალი განაგრძობს 16 სტუდენტის გასამართლებას.** მათ ბრალად სდებენ, რომ ეკუთვნიან არალეგალურ ორგანიზაციას „რიგას თერეოსს“, რომელიც ატარებს ბერძენი პოეტის — დამოუკიდ-ლობისათვის მოძრაობის გმირის სახელს. სტუდენტებს აბრალებენ აგრეთვე „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ — მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლების, არალეგალური მემორიალების გაგზავნა „ავგის“ გავრცელებისა და სხვ.

ბრალდებაში სტუდენტთა ორგანიზაცია „რიგას თერეოსი“ დახასიათებულია როგორც კომუნისტური „ორგანიზაცია, რომლის მიზანია არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების დამხობა“. ამიტომ სტუდენტებს ასამართლებენ № 509 კანონის საფუძველზე, რომლითაც აკრძალულია საბერძნეთის კომპარტია.

სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო ბრალდებულთა ჩვენებების მოსმენა. პირველმა სიტყვა წარმოთქვა სტუდენტმა იურისტმა ათანასიოს ათანასიუმ. მან თქვა, რომ ორგანიზაცია „რიგას ხერეოსი“ მიზნად ისახავდა საუნივერსიტეტო თავისუფლებათა დაცვას, ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ, რომ ახლანდელი რეჟიმი სამუშაოდან ითხოვს პროფესორებს და სასწავლებლებიდან აძევებს ასობით სტუდენტს, რომ აკრძალეს სტუდენტთა შორის დისკუსიების თავისუფლება.

ჩვენ ვიბრძვით თავისუფალი და დამოუკიდებელი საბერძნეთისათვის, ახლანდელი სამხედრო მთავრობის დამხობისათვის, ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საერთო ეროვნული მთავრობის შექმნისა და თავისუფალი არჩევნების მოწყობისათვის. „რიგას თერეოსი“ განაგრძობს წინააღმდეგობის ეპოქის ბერძენი ახალგაზრდობის ბრძოლას“, — თქვა მან. „საჯაროდ ვაცხადებ, რომ კომუნისტი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ამრიგად ვმოქმედებ ისტორიული პროცესის შესაბამისად“ — თქვა ათანასიუმ. მან ხაზი გაუსვა, „უარს არ ვამბობ

ბონი უტევს

ბონი, 22 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სერეგი იუწყება:

ბონის წარმომადგენლებმა ათი კაპიტალისტური ქვეყნის საერთაშორისო საგალუტო კონფერენციაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, „გადაჭრით უარყვეს“ ინგლისისა და საფრანგეთის წინადადება დასავლეთგერმანული მარკის რევალვაციის (კურსის აწევის) შესახებ. ეს განაცხადა გუშინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალრსმა. მან აღნიშნა, რომ ინგლისის პრემიერმა ვილსონმა თავისი მთავრობის სახელით გფრ-ის კანცლერს კიზინგერს სთხოვა ასწიოს მარკის კურსი. ასეთივე თხოვნით მიმართეს ბონს საფრანგეთის წარმომადგენლებმაც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მარკის ახლანდელი კურსი განაპირობებს სავალუტო სისტემის მერყეობას დასავლეთ ევროპაში, აშფოთებს მის კრიზისსა და იწვევს უმაგალითო მასშტაბის სავალუტო სპეკულაციებს, რომლებიც ძირს უთხრიან უწინარეს ყოვლისა ფრანკისა და გირვანქა სტერლინგის პოზიციებს. ბონის მთავრობამ კატეგორიულად უარი განაცხადა მარკის კურსის აწევაზე. ამის წაცვლად მან მიიღო ექსპორტისა და იმპორტის რეგულირების ღონისძიებები. როგორც გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესის უწყების ხელმძღვანელმა დიმმა, ეს ღონისძიებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის ექსპორტის 4 პროცენტით გაძვირებას და დასავლეთ გერმანიაში იმპორტის ამდენივე გაიაფებას. ბონი აცხადებს, რომ ეს ღონისძიებანი „არსებითი წვლილია საერთაშორისო სავალუტო მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში“.

სინამდვილეში ეს არის ბონის მიწვრი, რომლის მიზანია თავიდან აიცილოს მარკის რევალვაცია და მიაღწიოს ფრანგული ფრანკისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგის დევალვაციას (კურსის დაწევას).

საქმე ის არის, რომ ექსპორტის შეზღუდვის ღონისძიებანი, რომლებიც ბონმა განახორციელა, დროებითი ხასიათისაა (გათვალისწინებულია მხოლოდ 15 თვით) და, როგორც გაზეთი „შტუტ გარტერ ციტუნგი“ აღნიშნავს, „ყოველ მომენტში შეიძლება გააუქმონ“. გარდა ამისა, ეს ღონისძიებები ვრცელდება მხოლოდ სამრეწველო საქონელზე და სრულებით არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ბოლოს როგორც ბონის მეურნეობის მინისტრმა შილერმა აღიარა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია ექსპორტის მოცულობის რამდენადმე შემცირება (მისი გაძვირების გამო) ჭარბად აინაზღაუროს კაპიტალის ექსპორტის გადიდებით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახლა სარგებლობს საფრანგეთისა და ინგლისის ეკონომიური სიძნელეებით და ფართო შეტევას აწარმოებს მსოფლიო ბაზარზე, ავიწროვებს თავის კონკურენტებს. მათ კი იგი ურჩევს გააძლიერონ მშრომელთა საარსებო დონეზე შეტევა. მაგალითად, გაზეთი „დი ველტი“ საკმაოდ ცინიკურად ურჩევს ფრანგებსა და ინგლისელებს „უფრო მაგრად შემოიჭიმონ ქამარი“.

არქეოლოგიური ნაპოვნი ბეირუთში

ლიბანის რესპუბლიკა. ამას წინათ პარლამენტის წინამდებარე მოედნის რეკონსტრუქციის დროს, ბეირუთის ცენტრში, მშენებლები იძულებული გახდნენ არქეოლოგიური გათხრები დაეწყოთ. თითქმის ასფალტის საფარქვეშ აღმოჩნდა უძველესი ძეგლები, რომლებიც რომის იმპერიის ხანას განეკუთვნება. როდესაც გრუნტი ამოიღეს, იქ იმდროინდელი ქალაქის ქუჩის პანორამა აღმოჩნდა. ნაპოვნია კარგად შენახული რომაული კოლონები, კანალიზაციის სისტემის ნარჩენები, რეზერვუარები, რომაული ეპოქის მოზაიკური ფრაგმენტები. არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ აღმოჩენილია რომის ტრიუმფალური გზის ნაწილი, იმ დროისათვის დამახასიათებელი სტილით მოკირწყლული და კოლონებით შემოკავებული. ეს ამგვარი პირველი ნაპოვნი როდია ლიბანის დედაქალაქში. საგულისხმოა, რომ ძველი ბეირუთის ქუჩები, როგორც ეს გათხრებმა დაადასტურა, ახლანდელი მაგისტრალების თითქმის პარალელურად გადიოდნენ.

ბეირუთის რომაული ნაგებობანი დაინგრა ძლიერი მიწისძვრის შედეგად ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში.

სურათზე: გათხრები ლიბანის პარლამენტის კიდლებთან.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ბეიერუთის ლენტიდან

ინციდენტი იერუსალიმის ბაზარში

ბეიერუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს დილით იერუსალიმის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა ძლიერი აფეთქება. აფეთქების შედეგად წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი და დაიჭრა 50-ზე მეტი. აფეთქების მიზეზი დადგენილი არ არის, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.

ისრაელის ექსტრემისტულმა წრეებმა მაშინვე გამოიყენეს ეს ინციდენტი ახალი ანტიარაბული კამპანიის გაჩაღებისათვის. ქალაქის ჭურჭელში ადგილი ჰქონდა არაბ მცხოვრებთა ცემის შემთხვევებს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკოლმა შეწყვიტა შვებულება და დღეს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომას იწვევს. როგორც იუწყებიან ამ სხდომაზე განიხილავენ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ „საპასუხო აქციებს“.

თხოვნა უარყვეს

ათენი, 22 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომ გუშინ უარყო, როგორც „დაუსაბუთებელი“ ა. პანაგულისის დამცველი ადვოკატის თხოვნა განაჩენის გადასინჯვისა და მისი სისრულეში მოყვანის გადადების შესახებ. საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომ ამა წლის 17 ნოემბერს ორჯერ გამოუტანა სიკვდილის განაჩენი ა. პანაგულისს: არმიიდან დეზერტირობისა და მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობის გამო.

პანაგულისი გუშინ გადაიყვანეს ათენიდან საპატიმროში ეგინის კუნძულზე.

სამმაგი ოპერაცია

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ჩილეში განახორციელეს გულისა და ორი თირკმელის გადანერგვის ოპერაცია.

როგორც ფრანს პრესის საგანგებო კორესპონდენტი გვატყობინებს ვალპარაისოდან, ოპერაცია შეასრულა საავადმყოფო „ადმირალ ნეფის“ ექიმთა ჯგუფმა. 14 წლის ბიჭის გული, რომელიც საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპა, გადაუნერგეს 32 წლის დომინგო როა ონატეს, დაღუპულის ერთ-ერთი თირკმელი — პაულ ალბორნეს ვეგას, მეორე — ხოსე ველასკეს ტაპიას.

ეს უკვე გულის გადანერგვის მესამე ოპერაციაა ჩილეში.

ამერიკულ დოლარს საფრთხე ექმნება

ვაშინგტონი, 21 ნოემბერი. (საკდესი). **საშრანგეთის საგალუტო ვმდგომარეობის მკვეთრ გაუწესებლობას აქ დიდი შეშფოთებით შეხვდნენ, რადგანაც ეს მიაჩნიათ ახალი საერთაშორისო კრიზისის წინამორბედად, რომელიც შეიძლება მოვდოს დასავლეთის მთელ საფინანსო სისტემას.** ამერიკის პრესის ევროპელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ნოკდაუნში აღმოჩნდა არა მარტო ფრანკი, არამედ დოლარიც და ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგიც, რომელთა კურსი შესამჩნევად დაეცა უკანასკნელ დღეებში.

გაზეთი „ბალტიმორ სანიკი“ ამასთან დაკავშირებით შეშფოთებით წერს, რომ ახლა შეიმჩნევა „დაავადების“ იგივე ნიშნები, რომლის შედეგად ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ დოლარი და გირვანქა სტერლინგი.

ამერიკის ვალუტის ბედისათვის შეშფოთებას დამაჯერებლად მოწმობს ის უდიდესი ყურადღება, რომლითაც პრესა თვალს ადევნებს მოვლენათა განვითარებას ევროპის კონტინენტზე. ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ოპერაციათა შეწყვეტა ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო საფინანსო ინტერვენციებში რამდენადმე მოთქმეინებს სულის ფრანკს. ამასთანავე აქ ცდილობენ გამოიცნონ, რა შედეგები მოჰყვება ათი კაპიტალისტური ქვეყნის უდიდესი ბანკების წარმომადგენელთა სხდომას, რომელიც როგორც „ვაშინგტონ დეილი-ნიუსი“ აღნიშნავს, მოწვეულია „საერთაშორისო საფინანსო სისტემის კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც საფრთხეს უქმნის ამერიკულ დოლარსა და ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს ისევე, როგორც ფრანკს“.

პრესის ცნობებში უკანასკნელი ამბების შესახებ თვალში გეცემათ ფინანსისტ საქმოსანთა დაბნეულობა საერთაშორისო ფულად ბაზრებზე ვითარების ახალ გამწვავებასთან დაკავშირებით.

„მოქმედებამ, რასაც პარიზსა და ბონში მიმართეს ცენტრალური ბანკების ქსელის მხარდაჭერით, — გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ აზრით, —უნდა აღადგინოს სიმშვიდე უცხოეთის ფინანსიერ ბაზრებზე. მაგრამ ილუზია იქნება ვიფიქროთ, რომ ფუნდამენტური პრობლემები გადაჭრილია და რომ საერთაშორისო სავალუტო სისტემა ახლა უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ერთი კვირის წინათ იყო“.

ეს მოხდა აპალაჩის მთებში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ჟიგულოვი იუწყება:

ამერიკა შეაძრწუნა ახალმა ტრაგედიამ, რომელიც აპალაჩის მთებში მოხდა. დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქვანახშირის ერთ-ერთ შახტში აფეთქებათა სერიის შედეგად მიწის ქვეშ დამარხული აღმოჩნდა 78 მაღაროელი. გუშინ გვიან საღამოს მოხდა მეტანის სათვალთვალო მეხუთე აფეთქება. შახტის წოლხვრელები, რომელთა სიგრძე თერთმეტ კილომეტრს აღემატება, სავსეა მომაკვდინებელი მხურვალე გაზით. როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან ტრაგედიის ადგილიდან, თითქმის არ არის რაიმე იმედი, რომ წოლხვრელებში მყოფი ადამიანები გადარჩებიან. გრძელდება მიწისქვეშა ხანძრები, რომლებიც აძნელებენ გადარჩენის სამუშაოების დაწყებას.

ქვანახშირის კომპანიების პატრონები, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ, უარს ამბობენ გამოყონ საშუალებანი მეშახტეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების საჭირო ტექნიკის დანერგვისათვის. მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის ყრილობაზე, რომელიც სექტემბერში გაიმართა, აღნიშნავდნენ, რომ შრომის პირობები ქვანახშირის შახტებში ყველაზე საშიშია ამერიკის ეკონომიკის რომელიმე სხვა დარგთან შედარებით.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში შეტანილი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მეშახტეთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთელ რიგ ღონისძიებებს, მაუდქვეშ ამოდეს, რადგან მას ძლიერ ოპოზიციას უწევენ ქვანახშირის კომპანიების ლობისტები.

აფეთქება ოკინავაზე

ტოკიო, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. გავრილენკო გვატყობინებს:

ოკინავის დაბა კადენაში ფანჯრის მინებს სვამენ. მინები ჩაამსხვრია აფეთქების ტალღამ 19 ნოემბერს ადრე დილით, როცა ბომბებით დატვირთული ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი „ბ-52“ აფეთქდა ამერიკის კადენის საავიაციო ბაზის ასაფრენ ზოლზე. უდიდესი ძალის აფეთქებამ, რომელმაც ბაზა შეაზანზარა, ჩალეწა 300-ზე მეტი სახლის ფანჯრის მინები 5 კილომეტრ რადიუსზე.

აფეთქებამ და ცაში ავარდნილმა ალმა დაადასტურეს, რომ ოკინაველთა შიში სამართლიანია: ამერიკის სამხედრო ბაზებისა და წყალბადის ბომბების გადამტანი თვითმფრინავების განლაგება კუნძულზე შესაძლოა ტრაგედიით დამთავრდეს. მაგერად, ოკინავის მცხოვრებთა საბედნიეროდ, დიდი მსხვერპლი არ ყოფილა — მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა და რამდენიმე ასეული სახლი დაზიანდა.

იაპონიის პრესა, რომელიც იუწყება ამერიკის ბომბდამშენის აფეთქებას, ამასთან აღნიშნავს, რომ ახლანდელი პოლიტიკის პირობებში, რომელსაც ტოკიო და ვაშინგტონი ახორციელებენ, არ არის იმის გარანტია, რომ ასეთი შემთხვევა არ განმეორდება და მეორედ ეს არ იქნება ატომური ბომბის აფეთქება.

სანამ ოკინავაში არიან „ბ-52“ ტიპის ბომბდამშენები, რომლებიც თავს ესხმიან ვიეტნამს, წერს გაზეთი „ასახი“, სანამ იქ განლაგებულია ამერიკის საჰაერო ბაზები, არ არის იმის გარანტია, რომ არ განმეორდება ახლანდელის მსგავსი ინციდენტი.

გაზეთი „იომიური“ წერს, რომ ოკინავის პრესის მონაცემებით, კადენის ბაზის მახლობლად განლაგებულია ატომური იარაღის მიწისქვეშა საცავები. გაზეთი „რიუკიუ სიმპო“ იმოწმებს სანდო წყაროებს და წერს, რომ მიწისქვეშა საცავები განლაგებულია ტიბანაში, მისატოსაში — უშუალოდ ამ ბაზის მახლობლად, სადაც აფეთქება მოხდა.

ესეც შენი ამერიკული „სამოთხე“!

ინჯერვიუ ვუძ ჰოულში

ამერიკელმა მწერალმა ჯოზეფ ნორმამ ინტერვიუ აიღო სახელგანთქმული მეცნიერისაგან, ნობელის პრემიის ლაურეატ **ალბერტ სენტ-დიორდისაგან,** რომლის კვლევითი მუშაობა კიბოს პრობლემაზე „ამერიკულ სამოთხეში“ დიდ წინააღმდეგობას აწყდება.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს შინაარსს.

ნობელის პრემიის ლაურეატი დოქტორი ალბერტ სენტ-დიორდი ის მეცნიერია, ვისაც პატივი ხვდა აღმოეჩინა ვიტამინი „C“. უკანასკნელ წლებში იგი კიბოს პრობლემაზე მუშაობს. მაგრამ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს მთავრობამ წინასწარ, გაუფრთხილებლად მიიღო გადაწყვეტილება სენტ-დიორდის გამოკვლევათა სუბსიდირების შეწყვეტის შესახებ. ყოველგვარი მუშაობა პრობლემაზე, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება კაცობრიობისათვის დიდი შვების მომტანი ყოფილიყო, უეცრად შეწყდა. „ფული უწინარეს ყოვლისა ვიეტნამის ომზე იხარჯება. მიაჩნიათ, რომ მოკვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მკურნალობა“, — სინანულით ამბობს გამოჩენილი მეცნიერი. მას რომ უსმენ, ასე გგონია, შუა საუკუნეების შავბნელი დრო მეორდება, როდესაც გენიოსი გალილეი ინკვიზიციამ უმოწყალოდ ფეხქვეშ გათელა.

როგორც კი ეს ამბავი გავიგე, ვუძ ჰოულში გავემგზავრე, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში კოდის კონცხზე მდებარეობს. მინდოდა ინტერვიუ ამეღო სენტ-დიორდისაგან, რომელიც კუნთოვანი ქსოვილების გამომკვლევ უდიდეს ინსტიტუტში ერთ-ერთ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს.

— როგორც მეცნიერი და ჰუმანისტი, — თქვა მან, — ძალიან ეწუხვარ, რომ კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლო ქმედით საშუალებათა გამონახვაზე მუშაობა ფერხდება. ბევრ ახალგაზრდა მეცნიერს ამ მნიშვნელოვან დარგში მუშაობის შემდგომ განგრძობაზე უარი უთხრეს. მეცნიერული კვლევისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება საფრთხეს უქმნის მეცნიერების შემდგომ განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეი პოლიტიკა აქვეითებს თაობის შემოქმედებითს ენერგიას.

— ვიეტნამის ომი არა მარტო ფიზიკურად ახასიჩრებს ახალგაზრდა ამერიკელებს, არამედ შემოქმედებითი ცხოვრების ყოველგვარ იმედსაც უსპობს, — განაცხადა მეცნიერმა.

მან სახელმწიფო სუბსიდიის შეწყვეტა დაახასიათა როგორც „სანდალურად სულელური აქცია“. მთელი პრობლემის გადაწყვეტად, თქვა სენტ-დიორდმა, ალბათ საკმარისი იქნებოდა იმდენი თანხა, რამდენიც ვიეტნამის ომში ერთ დღეს იხარჯება.

— პრეზიდენტმა, — თქვა შემდეგ მკვლევარმა, — შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უწესრიგობის მიზეზების შემსწავლელი კომისია და ყველაფერი გაკეთა ამისათვის, რომ კომისიის მოხსენებაში ვიეტნამის ომი არ ყოფილიყო დახასიათებული როგორც უწესრიგობის მთავარი მიზეზი.

ამერიკის დღევანდელი მდგომარეობის ბნელეთში ნათელ სხივად ალბერტ სენტ-დიორდი ამერიკის ახალგაზრდობას ასახელებს. „მე მიყვარს ახალგაზრდობა, — ამბობს იგი. — იგი იწყებს ამხედრებას ჩვენი საზოგადოების საშინელებათა წინააღმდეგ. ზოგს ისინი უიღბლობად მიაჩნია, მაგრამ სინამდვილეში უიღბლონი ჩვენ ვართ, ადამიანები, რომლებისგანაც ამერიკის საზოგადოება შედგება“.

დიორდის აზრით, მსოფლიოში არსებული ახლანდელი დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ უკვე დიდი ხანია ამერიკელები ისწრაფვიან მსოფლიოში შექმნან რაღაც „ერთპარტიული სისტემა“, რომელშიც ხელმძღვანელი როლი „კაპიტალისტური დასავლეთის პარტიას“ დაეკისრებოდა. ამჟამად მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ორი „პარტია“ — კაპიტალისტური და კომუნისტური. დიორდის მიაჩნია, რომ აუცილებელია ორი სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების მასშტაბების გაფართოება იმის დასამტკიცებლად, თუ „რომელ მათგანს უფრო ძალუძს ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა“.

რაც შეეხება მთავრობის საგარეოპოლიტიკურ კურსს, სენტ-დიორდმ განაცხადა: „ჩვენ უნდა გადავეჩვიოთ იმათ მიმართ მბრძანებლობას, ვისაც საკუთარი ატომური იარაღი არ გააჩნია. უნდა შევიგნოთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში ჩვენ ყველანი ერთი კოსმოსური ხომალდის მგზავრები ვართ, და რომ თვითეული ჩვენგანის დაღუპვა ყველას დაღუპვას მოასწავებს. ყველა ჩვენ ერთიან მორალურ კოდექსს უნდა ვემორჩილებოდეთ“.

ინტერვიუს დასასრულს მინდა მოვიყვანო ამ დიდი ადამიანის, უშრეტი ენერგიისა და ფხიზელი გონების მქონე მეცნიერის ბრძნული სიტყვები: „ჩვენ მორალური კრიზისის საუკუნეში ვცხოვრობთ. დანტე წერდა, რომ ყველაზე ცხელი ადგილები ჯოჯოხეთში იმათთვის რჩება, ვინც სულიერი კრიზისების დროს ბრძოლისაგან განდგომას ცდილობდა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რათა უფლება გვქონდეს ადამიანებად ვიწოდებოდეთ“.

ინციდენტი ბაზაზე

ბეიერუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). **ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს დილით იერუსალიმის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა ძლიერი აფეთქება. აფეთქების შედეგად წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი და დაიჭრა 50-ზე მეტი. აფეთქების მიზეზი დადგენილი არ არის, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.**

ისრაელის ექსტრემისტულმა წრეებმა მაშინვე გამოიყენეს ეს ინციდენტი ახალი ანტიარაბული კამპანიის გაჩაღებისათვის. ქალაქის ჭურჭელში ადგილი ჰქონდა არაბ მცხოვრებთა ცემის შემთხვევებს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკოლმა შეწყვიტა შვებულება და დღეს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომას იწვევს. როგორც იუწყებიან ამ სხდომაზე განიხილავენ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ „საპასუხო აქციებს“.

ბეიერუთი

ბეიერუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). **ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს დილით იერუსალიმის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა ძლიერი აფეთქება. აფეთქების შედეგად წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი და დაიჭრა 50-ზე მეტი. აფეთქების მიზეზი დადგენილი არ არის, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.**

ისრაელის ექსტრემისტულმა წრეებმა მაშინვე გამოიყენეს ეს ინციდენტი ახალი ანტიარაბული კამპანიის გაჩაღებისათვის. ქალაქის ჭურჭელში ადგილი ჰქონდა არაბ მცხოვრებთა ცემის შემთხვევებს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკოლმა შეწყვიტა შვებულება და დღეს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომას იწვევს. როგორც იუწყებიან ამ სხდომაზე განიხილავენ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ „საპასუხო აქციებს“.

ინციდენტი ბაზაზე

ბეიერუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). **ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს დილით იერუსალიმის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა ძლიერი აფეთქება. აფეთქების შედეგად წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი და დაიჭრა 50-ზე მეტი. აფეთქების მიზეზი დადგენილი არ არის, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.**

ისრაელის ექსტრემისტულმა წრეებმა მაშინვე გამოიყენეს ეს ინციდენტი ახალი ანტიარაბული კამპანიის გაჩაღებისათვის. ქალაქის ჭურჭელში ადგილი ჰქონდა არაბ მცხოვრებთა ცემის შემთხვევებს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკოლმა შეწყვიტა შვებულება და დღეს მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომას იწვევს. როგორც იუწყებიან ამ სხდომაზე განიხილავენ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ „საპასუხო აქციებს“.

ინციდენტი ბაზაზე

ბეიერუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). **ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, დღეს დილით იერუსალიმის ერთ-ერთ ბაზარში მოხდა ძლიერი აფეთქება. აფეთქების შედეგად წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი და დაიჭრა



სიტყვა მეგობარ მწერალზე

თვალსაჩინო ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. იუბილარმა თავისი თანამოკალმეებისაგან და მკითხველებისაგან ბევრი გულთბილი წერილი და მოსალოცი დეპეშა მიიღო.

„თქვენ ოცდახუთი წელი მოანდომეთ ისტორიულ-რევოლუციურ რომანს „პირისპირს“ — ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს საბჭოთა მრავალეროვნულ პროზაში. ეს ოთხტომიანი ეპოპეა წარმოადგენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლი საქართველოს პროგრესულ ძალთა რევოლუციური ცხოვრებისა და ბრძოლის ენციკლოპედიას“, — ნათქვამია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს მისალმებაში.

ბახსენდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები... ეს ის დრო იყო, როცა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან გადმოსული და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის რამდენიმე დიდი ოსტატი ჯერ კიდევ არათუ მხოლოდ ცოცხალი იყო, აქტიურადაც განაგრძობდა თავის სამწერლო მოღვაწეობას. ამავე პერიოდში ჩვენს მწერლობაში უკვე საკუთარი ადგილი ჰქონდა მოპოვებული და წიადაგს იმტკიცებდა ახალი აზრებით შეიარაღებული ახალი თაობა. ამ რთულ გარემოში, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ როცა ჯერ არ დამთავრებულიყო გზების ძიება ჩვენი ინტელიგენციის წრეებში, ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა ალექსანდრე ქუთათელის სახელი.

თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, ქუთათელი ლიტერატურაში მოვიდა შეიარაღებული საფუძვლიანი განათლებითა და ცხოვრების ცოდნით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერების ლექციებმა ანტიკური ლიტერატურიდან ჯრა მარტო ცოდნით შეიარაღა ალექსანდრე ქუთათელი, არამედ შემოქმედებითი შთაგონებაც მისცა. ამას შედეგად მოჰყვა ბერძნულ მითოსზე აგებული დრამა „ქსისე“.

ალექსანდრე ქუთათელის პირველმა ნაბიჯებმა მწერლობაში თავდაზე მიიქცია მკითხველის ყურადღება მხატვრული აზროვნებისა და ფორმის თავისებურებით. იშვიათად ხდება, როცა მწერალი პირველივე ნაწარმოებებით საერთო აღიარებას ჰპოვებს და საკუთარ ადგილს იმკვიდრებს ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ეს მის ტალანტს მიეწერება. ქუთათელი სულ მალე ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა რიგებში ჩადგა.

პროზა, პოეზია, დრამატურგია — ყველგან თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ჩვენ ლუბილარმა. მე მაინც ერთგვარად წინა პლანზე დავაყენებდი მის პროზას, სადაც მთელი თავისი მრავალფეროვნებით გამომეღვაწა ალექსანდრე ქუთათელის ტალანტი.

ალექსანდრე ქუთათელი უკვე პოპულარული ბელეტრისტი იყო, როცა თავისი ოთხტომიანი ეპოპეა „პირისპირ“ დაწერა. როგორც ვიცით, ამ ნაწარმოებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მისი საზღვრების გადაღმა.

ეპოპეის მთავარ გმირს კორნელი მხეიძეს, ამ ახალგაზრდა ინტელიგენტს, რთული გზა აქვს გავლილი. ეს არის ათასგვარი წინააღმდეგობის დაძლევისა და თავის თავთან გამართული ბრძოლის გზა. სავსებით ბუნებრივი იყო კორნელი მხეიძისათვის, რომ მას, სხვა ატმოსფეროში აღზრდილს, ძალიან უძნელდებოდა ახალთან შეგუება. ასეთად რომ არ დაგვენახა ის, კორნელი მხეიძეს უცბადვე, თავისთავთან ყველგვარი ეჭვებისა და ბრძოლების გარეშე რომ მიეღო ახალი, ნაწარმოები, ცსადია, სქემატური და არადამაჯერებელი იქნებოდა. ქუთათელისთვის არ უღალატნია მხატვრულ ალღოს და თვალს, ამიტომაც არის, რომ ეპოპეა „პირისპირ“ ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევს მკითხველში.

ამ ნაწარმოების გამოქვეყნებამდე ქუთათელს საკმაო სამწერლო გზა ჰქონდა გავლილი, გამოცდილება არ აკლდა, მაგრამ ამ გამოცდილების მიუხედავად მან მაინც თითქმის საუკუნის მეოთხედი მოანდომა რომანზე მუშაობას. ეს ამბავიც, რა თქმა უნდა, ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მწერალი თავის მოვალეობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხაბოლოო წერტილის დასმის შემდეგაც ალ. ქუთათელს არ მიუტოვებია ნაწარმოებზე მუშაობა და ყოველ ახალ გამოცემაში (ეპოპეა კი მრავალჯერ არის გამოცემული ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე) შესწორებები შეჰქონდა. დაინტერესებული მკითხველი ადვილად შენიშნავს იმ მუშაობას, რომელიც ავტორს გაუწევია ყოველი ახალი გამოცემის წინ. ვიმეორებ, ეს მწერლის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაზე მეტყველებს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ხომ არა ერთი და ორია იმის მაგალითი, რომ კორიფეებიც ვერ მშვიდდებოდნენ მიღწეულით და ნაწარმოების სრულყოფაზე დაუღალავად შრომობდნენ!..

ამ გზით ქუთათელის ნაწარმოებმა საბოლოოდ მიიღო ის სახე, რომელიც მწერალს თავიდანვე სურდა ჰქონოდა მის რომანს. ამის შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა ნაწარმოების როგორც მხატვრული ღირსება, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

თუ „პირისპირში“ ალექსანდრე ქუთათელს ვხედავთ როგორც ეპოქის ერთი დიდად საგულისხმო მოვლენის მემატიანეს და მკაცრ რეალისტურ ტონებში შექმნილი ეპიკური ტილოს ავტორს, თავის ვრცელ მოთხრობა „აბესალომ და ეთერში“ ის სხვა სახით გვევლინება. აქ უკვე მკვეთრად იგრძნობა ქუთათელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მეორე მხარე — დახვეწილი, ფაქიზი ლირიზმი. ეს გარემოება მიგვითითებს იმაზე, თუ რა მრავალმხრივი ტალანტით არის მწერალი დაჯილდოებული. „აბესალომ და ეთერი“ საყურადღებოა იმითაც, რომ აქ ავტორი პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების საკრალური ბუნებისა და თვისებების საიდუმლოს გამოცნობას ისახავს მიზნად. ამ მხრივ ნაწარმოები ერთგვარად ფილოსოფიურ სფეროში იჭრება.

თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქუთათელს ქართულ პოეზიაშიც. მისი ლექსები გამთბარია ჩვენი ქვეყნის ბუნების სიყვარულით. გულითადი სითბოთი უმღერის ის უბრალო ქართველ ადამიანებს.

ალექსანდრე ქუთათელს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. რა თქმა უნდა, უფრო კარგი და გახარელი იქნებოდა, რომ ერთმანეთისათვის მიგვეელოცა არა წელთა მატება, არამედ გაახალგაზრდავება. მაგრამ რას იზამ. ბუნება ამ მხრივ მწყალობელი არ არის, და ჩვენც ამ ჩვეულებას უნდა მივსდიოთ. ამ შემთხვევაშიც ალექსანდრე ქუთათელს მაინც აქვს ერთი დიდი უპირატესობა მრავალ სხვასთან შედარებით. ამას ვამბობ არა იმისათვის, რომ ვაამო ადამიანს, არამედ ნამდვილად ასეა, რომ ქუთათელი ისევ ისე, როგორც ოცი-ოცდახუთი წლის წინათ, ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად, სულიერადაც ჯანსაღი და, გადამეტებით ნუ მიიღებს ვინმე, ახალგაზრდაა.

ვუსურვებთ ჩვენს მეგობარს ალექსანდრე ქუთათელს, რომელმაც ნახევარი საუკუნე დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობაში გაატარა, დიდხანს შეენარჩუნებინოს შრომის უნარი და სიცოცხლის ხალისი.

სერგო კლდიაშვილი.

ნიკოლოზ ტიხონოვი

სიმნიფისა და ბრძოლის ნიშანი

ძვირფასო, გულითადო მეგობარო ალექსანდრე!

აი შენც მიაღწიე შენი ცხოვრების გზაზე აღმართულ ბუმბერაზ ნიშანსვეტს, რომელზეც სწერია: სამოცდაათი!

ისეთი ადამიანისათვის, როგორიც შენა ხარ, ეს ციფრი მხოლოდ სიმწიფისა და სიბრძნის ნიშანია — სხვას არაფერს არ გამოხატავს! მაგრამ ჩვენ, რომლებსაც უკვე დიდხანია, რაც სანდრო გვიყვარს, გულითადად ვეხვევით ძველ მეგობარს მისი არაჩვეულებრივი ზეიმის დღეს. რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს...

როგორც გამოჩენილმა მწერალმა, როგორც შესანშნავმა ადამიანმა, პატრიოტმა და ულამაზესი საქართველოს ერთგულმა შვილმა — შენ დაიმსახურე გულითადი აღიარება ხალხისა, პარტიისა და მთავრობისაგან, სიყვარული მრავალი მეგობრისა, მკითხველისა და შენი ტალანტის დამფასებლებისაგან.

გისურვებ მრავალ წელს სიცოცხლეს, ახალ-ახალ მიღწევებს, ბედნიერებას და ყოველივე კარგს.

მოსკოვი.

მთაბი და წიგნები

ამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მაღალმთიან რაიონს, დუშეთს ეწვივნენ ქართველი მწერლები და პოეტები ლ. გოთუა, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, ზ. ბოლქვაძე, მ. ფოცხიშვილი. მკითხველებთან ავტორების შეხვედრა ყოველთვის დასამახსოვრებელი და სასიხარულო მოვლენაა, მით უმეტეს, რომ მწერლებთან სიახლოვე მთაში ტრადიციულია...

ქართლის მთიანეთის საინტერესო კუთხეში — ფშავში ცხოვრობდა და შემოქმედებდა შრომას ეწეოდა ქართული პოეზიის არწივი ვაჟა-ფშაველა. ხალხში ტრადიციებდნენ მისი ძმები ცნობილი ლიტერატორები თედო და ბაჩანაც. ათი წელიწადი მომრიგებელ მოსამართლედ იმუშავა დუშეთში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა, დიდმა მწერალმა და ოსნოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ.

ილიაზე და ვაჟაზე, ადრე, დუშეთიდან სამ კილომეტრზე, სოფელ ყვავილში დაიბადა მომავალი მწერალი, გლეხის შვილი დანიელ ჭონქაძე, რომელიც ადრევე, ბავშვობიდანვე ეზიარა გლეხკაცის მწარე ცხოვრებას, საკუთარი თვალით ნახა და განიცადა ბატონყმობის საშინელება. დანიელი თვითონ იყო დაჩაგრული ხალხის ღვიძილი შვილი და მისი ცხოვრების აღსაწერად შორს წასვლა რიდი სჭირდებოდა. მძლავრი ყუმბარის აფეთქებას ჰგავდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოსვლა. ეს იყო უდიდესი ძალის საბრალმდებლო დასკვნა

ოსტატობით მთაში ვერავის გააკვირვებ, მთიელებს აქვთ პოეზიის თავისი კანონები. ამიტომ არის, რომ მწერლები და პოეტები ერთგვარი რიდით და მოკრძალებით მიდიან მთებში. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მგზავრობას.

მკითხველთან პირველი შეხვედრა მოხდა დუშეთის წიგნის მაღაზიაში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი მაღაზიაა არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც. მე მიყვარს აქ შესვლა და საუბარი. ვის არ ნახავთ, წიგნების შესაძენად მოსულს. აი, თაროსთან დგას მაღალი. მზისა და ქარისაგან გაშავებული, ფაფახიანი კაცი და ყურადღებით ათვალიერებს წიგნებს, წინასწარ ვიცი, რომ იგი მეცხვარეა, სამოვრებიდან მოსული მწყემსია, რომელსაც უწიგნოდ უკან დაბრუნება არ შეუძლია. თუ მწყემსებს წიგნი მოეწონათ, იგი გადავა ხელიდან ხელში, გაიმეორებლება, გაშავდება, ფურცლები დაეცრეცება, მაგრამ მკითხველი მაინც არ მოაკლდება.

მწერლების შესახვედრად მაღაზიაში მრავალ მკითხველს მოეყარა თავი. აქ იყვნენ პიონერები და მათზე მოზრდილები, თითქმის ყველა ასაკის ადამიანები. ცხოვრობენ სადღაც გუდაურთან და ლექსებს და პოემებს არ წერდე, ეს ღორობაა — ხუმრობდა ა. პ. ჩეხოვი, როცა მან საქართველოს სამხედრო გზით იმგზავრა. ეს გზა კი არა, წარმტაცი ზღაპარია, ულამაზესი პოემაა დემონის მიერ დაწერილი და თამარისადმი მიძღვნილი, — წერდა იგი. ჩვენ სწორედ გუდაურისაკენ მივიმგზავრებოდით. ავტომანქანამ ერთი ხვნეშით და ვაი-ვაგლახით აირბინა მლეთის აღმართები და კაიშაურებს ვეღარ გაინავარდა. ეს მ. ა. ლერმონტოვის კაიშაურების ველია, რომელიც დიდმა მწერალმა ასეთი უშუალო განცდით წარმოგვიდგინა. შორს ჩრდილოეთით ღრმა ხეობაში ჩანს სოფელი ღუდა...

მზიანი დღე იყო, და ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. ბუნების სიდიადით მოხიბლული სტუმრები აღარ ენაკვიმატობდნენ, რაღაც ფიქრებში იყვნენ გართულნი, ალბათ იმ წუთებში იბადებოდა ახალი პოეტური სტრიქონები... მერე ძაღლებმა საშინელი ყეფით გზა გადაგვიჭრეს. — მოვედით, — თქვა ვიღაცამ, მაგრამ ავტომანქანიდან გადმოსვლას ვერავინ ბედავდა. სირბილით მოიჭრა ახალგაზრდა მწყემსი ვალიკო ზაქაიძე, ძაღლები მოგვაშორა და მოგვესალმა. მალე გაიმართა ჯულთბილი საუბარი მწყემსებსა და მწერლებს. შორის. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა მეცხვარეებს საჩუქრად თავიანთი წიგნები გადასცეს...

მთებში დიახ რომ უყვართ წიგნები, მისი შემოქმედნი და წიგნის მომწოდებელნი.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მებრძოლი ხელოვნება

ფიქრები ქართულ საბჭოთა პლაკატზე

რამდენი ბევრია სათქმელი იმის შესახებ, თუ რას შეიცავს ეს ორი სიტყვა „საბჭოთა პლაკატი“ — საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების აქტუალურ თემებზე შექმნილი, ხალხის აზრისა და გრძნობის წმინდა და სხარტი ნაყური, სიმართლისა და სიბრძნის მთესველი, მებრძოლი და მიზანდასახული პლაკატი, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებლობაში.

ასეთია საბჭოთა პლაკატის ბუნება. ასეთია ქართული საბჭოთა პლაკატიც, რომლის მთავარი საგამოფენო დარბაზი მთელი საქართველოა, თუმცა იგი არაერთგზის საქართველოს საზღვრებსაც გასცილებია და ღირსეული სახელიც მოუხვეჭია.

ქართული პლაკატის მაღალ ღირსებებზე მეტყველებენ ამიერკავკასიის და საკავშირო მნიშვნელობის ის პრიზები და საპატიო დიპლომები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჯილდოდ ხვდათ ქართველ მხატვარ-პლაკატისტების ე. ბერძენიშვილის, ი. ბერდელაძის, დ. ფუნდუკას, შ. კუპრაშვილის, ნ. მალაზონიას, გ. ლომიძის, დ. მაღრაძის, ლ. შენგელიას, ო. ჯიშკარიანის და სხვათა ქმნილებებს.

ქართველი პლაკატისტების ქმნილებათა შეფასების სწორ გზს რომ არ ავიდეთ, საჭიროა გავიხსენოთ პლაკატის, სახვითი ხელოვნების ამ ერთ-ერთი ავანგარდული სახეობის მთავარი არსი და სპეციფიკა.

პლაკატი პუბლიცისტიკაა, რომელიც სახვითი ხელოვნების საშუალებათა სპეციფიკური გამოყენებით ჯერ არგარდასული დროის ცოცხალ მაჯისცემას გადმოგვცემს და წამოჭრილ ცხოვრებისეულ აქტუალურ საკითხთა გადაუდებელი გადაჭრის აუცილებელ საქმეს ემსახურება.

ეს, რასაკვირველია, ოდნავაც არ ამცირებს ისტორიულ თემაზე პლაკატის შექმნის მნიშვნელობას.

ცხადია, რომ პლაკატის სპეციფიკის შესაბამისად პლაკატის შინაარსი და გამოსახვის მხატვრული ფორმაც უნდა იყოს მაქსიმალურად ლაპიდარული, აბსოლუტურად ნათელი და გასაგები, მიზანაუცდენელი და ძლიერი ემოციური ზეგავლენის უნარის მქონე.

პლაკატის ქმედითი ძალა პლაკატის ტექსტის ხარისხისაგანაც ბევრად არის დამოკიდებული.

პლაკატს მოკლე და სხარტი, ღრმად შთამბეჭდავი და ადვილად დასამახსოვრებელი, მხატვრული სახის ძირითადი არსის ლაკონიურად გამომსახველი და მასთან კომპოზიციურად შერწყმული ტექსტი ესაჭიროება.

პლაკატისადმი ამ ძირითად მოთხოვნილებათა მიხედვით სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ქართული პლაკატის წლევანდელი გამოფენა, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დაიხურა, ბევრმა კარგმა ნაწარმოებებმა დააშშვენა.

ე. ბერძენიშვილის უთუო შემოქმედებითს შესაძლებლობაზე მეტყველებს პლაკატი „ვიხსოვდეს“, რომლის მხატვრული საწყისი მაყურებლის მეხსიერებაში ქმედითად მკვიდრდება.

საქართველოს მხატვართა კავშირთან არსებული პლაკატის შემოქმედების სექციის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ი. ბერდელაძის პლაკატს „შეგასრულოთ ვადაზე ადრე“! ერთსულოვანი მოწონება ხვდა, რადგან მისი ძალა ამ დიდმნიშვნელოვანი თემის კომპოზიციურ და კოლორიტულ უნაკლო გადაწყვეტაშია.

ორიგინალური და ესთეტიკურად სასიამოვნოა ი. გორდელაძის პლაკატები „ბშვიდობა“ და „მშვიდობა მსოფლიოს“. ლაკონიური და მეტყველი მისი „ქიმია ბარაქის დედაა“. კაკამოყვარეთის ნათელი ფერნმრთა არის გამომბარი ჯორდელაძისეული პლაკატი „ვიეტნამი ვიმარჯვებს“. ისტორიულ-სატირული პლაკატის შესრულების ოსტატად ვგვლინება მხატვარი იმ უტეხსტ ნამუშევარში, რომელშიც მონუმენტურად აღმართულ ალისფერ ციფრებს (1917) იქით რევოლუციის ციცხლით დაფრფლილი ნიკოლოზ მეორის კარიკატურა ნიჭიერად არის გამოსახული. ი. გორდელაძე სამაგალითოდ ეყრნებს პლაკატის სპეციფიკურ მხატვრულ ხერხებს შერჩეულ თემათა შესაბამისად.

ამას მოწმობს ი. გორდელაძის ყოველი პლაკატის თავიისთავადი მხატვრული სახე და მნიშვნელობა.

და მართლაც, რაოდენ თავისებურია ამ მხატვრის უთუოდ ეროვნული პლაკატიც („დავიცვათ კულტურის ძეგლები“), რომელშიც ადამიანის ნატიფად სტილიზებული ხელები ძველქართულ ხუროთმოძღვრულ დიდებულ ძეგლს ეალერსება.

უთუოდ ღირსშესანიშნავია ის პლაკატებიც, რომლებიც ი. გორდელაძეს ვ. ბერძენიშვილთან ერთად შეუქმნია.

ეროვნული თავისებურებით გამორჩევა აგრეთვე დ. ზარაფიშვილის მიმზიდველი ნამუშევარი სპორტულ თემაზე.

ცხენზე ამხედრებული ჩოგბურთელის ფრესკისებურ მხატვრულ სახეს აქ ორგანულად ეწყმის ტექსტი: „მომზადებული შეხვედეთ საკავშირო IV სპარტაკიადას“, ტექსტი, რომელიც პლაკატის მთლიანი კომპოზიციის სტილისტურად შესატყვის ხილვად კომპონენტსაც წარმოადგენს.

შთამბეჭდავი იდეურ-მხატვრული ძალის შემცველია ამავე მხატვრის „ვიეტნამი არ დაიჩოქებს“. საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნებიან აგრეთვე პოლიტიკური სატირის ოსტატის გ. ლომიძის პლაკატები „მშვიდობა ამერიკულად“ და „ციცხლის მოპოვება“, რომლებიც აგრესიულ ისრაელისა და მისი მთავარი წამქეზებლის პენტაგონის შემაზარზენი „მოღვაწეობის“ მხილების სურვილით არიან შექმნილნი.

ამჯ შესანიშნავ პოლიტიკურ-სატირულ პლაკატებში გ. ლომიძემ კვლავ გვიჩვენა თავისი პუბლიცისტური შემოქმედების ძალა, მსოფლიო მასშტაბის ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენის ნამდვილ არსში ჩახედვისა და ამ არსის ორიგინალური, პოლიტიკურად მძაფრი, მე ვიტყოდი, პამფლეტური გამოსახვის უნარი.

ამ ასურბეზლის ინტერვსს იწვევს ჯ. ლოლუას საყოფაცხოვრებო სატირულ პლაკატთა სერია: „უსარგებლო სოკოები“, „გადავუკეტოთ ყვავილა გზა ხულიგნებსა და მუქთახორებს“!, „ალკოჰოლიზმი უბედურებაა“, „ერთი სახის ორი ფერი“, „ყოფაქცევის წესები“, „უზრდელი“, „ჩემი მილიცია მე მიცავს“, „ბონს მოდი!“.

თავის ამ სატირულ ფურცლებში ნიჭიერი მხატვარი ჯ. ლოლუა დასვენილი, აზრიანი, ემოციური და რამდენადმე ეროტიკული ნახატით შერჩეული თემის ისეთ მახვილ გადაწყვეტას აღწევს, რომ ეს გარეგნულად ეროტიკული სიტუაციის შეეცვალა ფურცლები ფაქტიურად სერიოზული დაფიქრებისა და ცხოვრების მახინჯ მხარეთა აქტიური გაკიცხვის ქმედით იარაღად იქცევიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯ. ლოლუას უახლესი და, ჩვენი აზრით, ლოლუასეულ ქმნილებათა შორის ყველაზე ძლიერი პლაკატი „ბონს მოდი!“, რომელშიც კონკრეტული და თითქოს სადა, მაგრამ მეტად ეფექტიანი ნახატი განაპირობებს ამ პლაკატის სიმძაფრეს, მიზანდასახულებასა და დამაჯერებლობას.

მივიზიდავს და დაგამახსოვრდება თ. ბოცაძის „8 მარტი“, ო. ბარბარიძის „ოქტომბერი 50“, შ. კუპრაშვილის „ჩვენ ვემსახურებით საშობოლოს“ და „კოსმონავტი № 6“, გ. მირზოევის „მშვიდობის სადარაჯოზე“, ზ. ნიმარაძის ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი უტეხსტო პლაკატი, ი. რომანიშვილის „დიდება ოქტომბერს“, ო. სხსნიაშვილის „დავიცვათ“, გ. ძარშვილის, „50“, ლ. შენგელიას „მხრები გაშალა აფრიკამ“ და „ძირს კოლონიალიზმი“, ს. ჭელიძის „ოქტომბრის ბთაენ“; „ატომი მხოლოდ მშვიდობისათვის“, ზ. ხარებაძის „დინასტიის დასასრული“.

ამ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ გამართულად იყენებენ მათი ავტორები თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში პლაკატის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრული გამოსახვის სპეციფიკურ საშუალებებს.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ი. ბეგელაძის „ეზას გვინათებდეს მარად შენი სამშობლოს მზე!“, რ. კონდახასაზოვის „მოგილოცავთ ახალ წელს“, დ. მაღრაძის „არა“ და „ენთება მარად“, ჯ. მიქაბაძის „გავიფიოდეთ ისტორიულ ძეგლებს“, ვ. ქოქიაშვილის „სკკპ XXIII ყრილობა მოგვიწოდებს ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ!“

უდავოდ მაღალია ქართული საბჭოთა პლაკატის დღევანდელი დონე. მაგრამ იგი ნაკლოვანებებისაგან მაინც რდია თავისუფალი. ასე, მაგალითად, ი. ბედოლაძის პლაკატი „დიდება“; რომელშიც „ჩვენი ქვეყნის 50 წელი“ მინდვრის თეთრფურცლოვანი და ზვრილოდრინანი ყვავილის სახით არის წარმოდგენილი, თავისი ნაზი ლირიკით თემის სიდიადეს მხარს ვერ უსწორებს, სათანადოდ ვერ ესიტყვება.

პლაკატში აზრის სწორ გამოვლინებას, როგორც იტყვიან, წყალი არ უნდა გასდიოდეს. ამ მხრივ კი ვერც ი. ლომიძის პოლიტიკურ-სატირული პლაკატი „ვიეტნამში — დეტრიტში“ არის სრულყოფილი.

ვიეტნამში და დეტრიტში სიკვდილის მთესველი იმპერიალისტური ამერიკა მხატვარმა დოლარებით დატენილი და მეტად მსხვილი ტომრის სახით წარმოადგინა და მით ასცდა თემის უნადო გახსნის გეზს.

უნაკლო როდია აგრეთვე ბ. სარჩიმელიძის პლაკატი „დიდება ოქტომბერს“. მართალია, იგი თვალის ერთი მოკვრით კომპოზიციურად შეკრული და ლაკონური გამომსახველობის მქონე პლაკატის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაკვირვების შედეგად აქ ნათლად ჩანს, რომ სამი მძლავრი ხელი (ორ მთგანს ნამაღალ-ჩაქუნი უჭირავს) მაინც ამძიმებს კომპოზიციას, მით უმეტეს, რომ მარჯვენა მხარეს გამოსახული და პლაკატში სოლივით შეჭრილ კუშტად შეკრულ მუშტს არაფერი აქვს დასაჭერი ერთ პაწაწა და რამდენადმე უსახო, შემთხვევით მოტანილი ყვავილს გარდა.

ამ პლაკატის კომპოზიციისათვის ორი ხელი, რომლებსაც საბჭოთა ქვეყნის ემბლემა მძლავრად უპყრია, საკმაოდ ბევრია.

ჩვენი მხატვარ-პლაკატისტების დაბეჯული და შეუნელებელი ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომა ქართული პლაკატის ნაკლოვანებათა დაძლევისა და წარმატებების საწინდარია.

ქართული პლაკატის შემქმნელთ კარგად ესმით, რომ ყოველი საბჭოთა მხატვრის წმიდათაწმიდა ვალია ყველა ძალის მაქსიმალური ამოქმედებით იღაწოდეს ლენინის დაბადების 100 წლისთავთან ღირსეული შეხვედრისათვის.

ქართველ მხატვარ-პლაკატისტებს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავიც ელით. ამ დიდი თარიღებისათვის მზადება მათი მუშაობის ენერალური და მეტად პასუხსაგები ეტაპია.

ახალ ჭეშმარიტებას როდი აღმოვაჩენთ, თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ქართული პლაკატის ფართო შესვლას და მყარ დამკვიდრებას წინ არაფერი უნდა ეღობებოდეს.

სამწუხაროდ, ადგილებზე წინანდელთან შედარებით შესამჩნევად შესუსტდა პლაკატისადმი ყურადღება იმ ორგანიზაციათა მხრივ, რომლებსაც მართებთ დაიყვანონ ხელოვნების ეს აგიტაციურად ქმედითი და ჭეშმარიტად პოპულარული სახეობა ფართო მასებამდე.

სწორედ ამ მიზეზით ახლა საკმაო შეკვეთებით არ არის უზრუნველყოფილი საქართველოს სამხატვრო ფონდთან არსებული აგიტპლაკატის სახელოსნო, რომელმაც დღიდან მისი დაარსებისა წლევანდლამდე, ე. ი. 4 წლის განმავლობაში დიდად შეუწყო ხელი ქართული პლაკატის წარმატებასა და განვითარებას.

თუ ასე გაგრძელდა, ადვილი შესაძლებელია ეს სახელოსნო ეკონომიურად ისე დასუსტდეს, რომ იგი აღარ წარმოადგენდეს მყარ საწარმოო ბაზას ქართული პლაკატის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ ფაქტს საჭირო ყურადღება უნდა მიაპყროს საქართველოს მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობამ, მითუმეტეს, რომ მას ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა და ეფექტური დახმარება, დარწმუნებული ვართ, ამჯერადაც არ მოაკლდება.

გარდა ამისა, საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმს მართებს დაამყაროს რესპუბლიკურ გამოცემლობებთან ისეთი კონტაქტი, რომ ამ საუწყებო ხაზითაც იქმნებოდეს ხაჭირო რაოდენობით პლაკატი-ორიგინალები და რომ ყოველი პლაკატი აქ მაღალხარისხოვნად და დიდი ტირაჟით იბეჭდებოდეს.

მისი ვალია აგრეთვე ხელი შეუწყოს პლაკატის ხელოვნების საკითხებზე მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისა და კრიტიკული აზრის გაცხოველებას, უზრუნველყოს საუკეთესო პლაკატებზე კონკურსების, პლაკატის თემაზე გასალითი კონფერენციების (ფაბრიკებში, ქარხნებში, კლუბებში, კულტურის სახლებში და პარკებში) და პლაკატის მოძრავი გამოფენების პერიოდული მოწყობა, შემოიღოს და ტრადიციად გადააქციოს მოძრავი გამოფენების ადგილებზე ფუნქციონირების დროს ადგილობრივ თემებზე პლაკატების დამზადება იმ წესით, რომლითაც მუშაობდნენ „ოკნა როსტას“ და „ოკნა ტასსის“ მესვეურები.

საჭიროა აგრეთვე, რომ რესპუბლიკაში არსებული პოლიტგანათლების სახლები პლაკატს ძლიერ შეფობას უწევდნენ.

პოლიტიკური სატირის განთქმული ოსტატი ბ. ეფიმოვი 1967 წლის 2 ივნისის გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულ თავის სტატიაში „პლაკატის მეტყველი ფურცლები“ წერდა: „პლაკატს უნდა დაეგმაროთ მკაცრი იდეურ-შემოქმედებითი მომთხოვნელობითა და სპრიოზული ხელოვნებამოდენობის ანალიზით, კეთილისმსურველი ამხანაგური კრიტიკითა და ახალგაზრდა კადრების მზრუნველი აღზრდით, ანაზღაურების კარგად განსაზღვრული სისტემითა და პოლიგრაფიული ხარისხის გაუმჯობესებით, მატერიალური მომარაგებითა და უნარიანი გავრცელებით“.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმოხვეჭილ ქართულ საბჭოთა პლაკატს ასეთი დახმარება არ მოაკლდება.

მ. თოფურია,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

• • •

სურათებზე: ქართული პლაკატის ოსტატების ნამუშევართა ფოტორეპროდუქციები. დ. მაღრაძე — „ენთება მარად“ (მარჯვნივ ზემოთ), ირ. გორდელაძე — „დავიცვათ კულტურის ძეგლები“ (მარცხნივ ზემოთ); დ. ზარაფიშვილი — „მომზადებული შეხვედეთ საკავშირო IV სპარტაკიადას“ (მარცხნივ ქვემოთ).

ექვსი ფერი

□ **ათასობით** ახმეტელი მშრომელი იცავდა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დიდი სამამულო ომის პერიოდში. მათი ღვაწლი არ დაუვიწყებია სამშობლოს და ხალხს. ამ დღეებში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა დიდი სამამულო ომის ახმეტელ ვეტერანთა ჯგუფს. დიდების მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ გ. გიგაური, ი. ხელხელაური, ნ. შეყრილაძე, ი. ჯუგაშვილი.

რ. ჯინჭარაული.

□ **მარგანეცის** ქალაქის მშრომელებს სასმელი წყალი არ ჰყოფნით. ამიტომ ჭიათურა-საჩხერის მიდამოებში ეძებენ წყლის ახალ რესურსებს, ადგენენ მის მარაგს. ამ საქმეს ეწევა ჭიათურის ჰიდროგეოლოგთა ჯგუფი, რომელსაც გ. ჯალაღანია მეთაურობს.

ახლახან ყვირილის მარცხენა ნაპირზე № 1 ჭაბურღილში 62 მეტრიდან ამოხეთქა წყლის ძლავრმა შადრევანმა. იგი ათ მეტრზე აიჭრა ჰაერში და მიდამოს მოეფრქვია. დებიტია წამში 20 ლიტრი ანკარა წყალი.

არტეზიული ჭების გაბურღვისას ამ მიდამოებში ასეთი ძლავრი შადრევანი ჰიდროგეოლოგებს ჯერ არ შეხვედრიათ.

ვ. დვალაძე.

□ **მიხი** ყოველი გამოჩენა სახარულს იწვევს კოლმეურ

ღრუბლებთან მოსაუბრე

მს იყო ორმოცდასამი წლის წინათ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა — ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა განახორციელა ასვლა იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროფესორი გიორგი ნიკოლაძე.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალის — იალბუზის იერიში, რომელიც 1925 წლის ივლისში დაიწყო, 12 აგვისტოს მსოფლიოს პრაქტიკაში შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა. მამაკაცებთან ერთად იალბუზზე ავიდნენ ქალები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მარო ტყავაძე, ლიდუსია ჩხეიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე და მარო ბეჟანიშვილი. კიდევ ერთი წლის შემდეგ გ. ნ. ნიკოლაძემ ლონდონის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება პირველ საბჭოთა ალპინისტურ ექსპედიციებზე.

ცნობილი ინგლისელი მოგზაური დუგლას ფრეშფილდი, რომელმაც კავკასიონი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიკვლია, მაშინ 84 წლისა იყო და სოფელში ცხოვრობდა. იგი სპეციალურად ჩავიდა ლონდონში, რათა ნიკოლაძის მოხსენება მოესმინა. აი რა მისწერა მან ქართველ მეცნიერს ამ შეხვედრის შემდეგ:

„ახლა უკვე მოხუცი ვარ და ვერ შევძლებ თქვენთან ჩამოსვლას. მაგრამ იმედი მაქვს, რომ კიდევ რამდენიმე წელს შემეძლება აქედან ვადევნო თვალი თქვენი ალპინიზმის განვითარებას, თქვენ მიერ მაღალი მწვერვალებისა და ზეგნების კვლევას.

გთხოვთ თქვენი საზოგადოების წევრებსა და ხელმძღვანელებს გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები და ამავე დროს თქვენი ალპინისტური სექციის წევრებს მიუსლოცოთ წარმატებითი ექსპედიცია, კერძოდ, ხუთ ქალიშვილს, რომლებიც თქვენთან ერთად ავიდნენ იალბუზზე“.

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით რუსთაველი მცხოვრებ ინჟინერს, ამჟამად პენსიონერ მარო გიორგის ასულ ტყავაძეს, ისტორიული ასვლის მონაწილეს.

მარო გიორგის ასული გვიჩვენებს იმ შორეული წლების ფოტოსურათებს, იხსენებს იალბუზის იერიშის ეპიზოდებს.

— გეგონებოდა, ერთი, ორი წამიც — და თოვლის კედელი მოირღვევა, ზვავის კორიანტელში ძირს დაქანება და თან ჩაიტანს ყველაფერს, რაც გზაზე დახვდებაო, — გვიამბობს იგი. — უღელტეხილის უნაგირა აქვეა, მაგრამ მისი კედელი თითქმის შეეულია და ყოველი ნაბიჯი ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს. უკანასკნელ ძალღონეს იკრებ და მიცოცავ. სუსხიანი ქარი სახეს გვისერავს. სუნთქვა სულ უფრო გვიძნელდება. გაჭირვებით ვებღაუჭებით თოვლით დაფარულ სველ თოკს. წვეტიანი თხემის იქით გამოჩნდა თავი, მხრები — ეს სიმონ ჯაფარიძეა. ერთი-ორი წუთი ინტერვალი... მას მოაკვეიან დანარჩენები — იაგორ კაზალიკაშვილი, ვალიკო კეთილაძე, ლევან ყანჩაველი, ასმათ ნიკოლაიშვილი... ქარი კი ძლიერდება, თითქოს უნდა აქედან ძირს ჩაგვყაროს...

— სანამ ევროპის ყველაზე მაღალ მწვერვალს დავიპყრობდით, არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ალპინისტურ ლაშქრობებში. — განაგრძობს მარო გიორგის ასული. — თითქოს გუშინ იყო. 1923 წლის აგვისტოს დამლევს, ქარსა და ნისლში, კვლავ ქართველ სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი თვრამეტ კაცის შემადგენლობით მაღალმთიანი სპორტის ისტორიაში პირველად ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე, ამ ჯგუფში, ჩემს გარდა, იყო იგივე ოთხი ქალიშვილი, რომლებიც შემდეგ იალბუზზე ავიდნენ. შესანიშნავი ხუთეული!..

მარო გიორგის ასული ტყავაძე სამართლიანად ითვლება „საბჭოთა ალპინიზმის პიონერად“.

და იგი განა მარტო საბჭოთა ალპინიზმის პიონერია. მას მდიდარი ბიოგრაფია აქვს. 1930 წელს, ინსტიტუტი რომ დაამთავრა, სამუშაოდ აჭარაში წავიდა. იქ მდინარე აჭარისწყალზე, სოფელ მახუნცეთთან ელექტროსადგური შენდებოდა.

ამენდა ჰესი. მარო გიორგის ასულს ისევ მთები იზიდავენ. იგი ვერ ძლებს უიმათოდ, ვერ ისვენებს. აჭარის შემდეგ კვლავ მთებში დაიწყო მუშაობა. ომის მრისხანე წლებში მარო ტყავაძე მუშაობდა ბაქსანის ჰესის აღდგენაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, სვირის ჰესის აღდგენაზე ლენინგრადთან, შემდეგ მუშაობდა მოსკოვში, ურალზე, და კვლავ საქართველოში სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. 1948 წლიდან იგი ცხოვრობს და შრომობს რუსთავში — იყო მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი, რამდენჯერმე არჩეულ იქნა საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ამჟამად მარო გიორგის ასული პენსიაზეა. იგი სამოცზე მეტი წლისაა.

მაგრამ ჩახედეთ თვალებში. პენსია რომ ვახსენე, როგორ გაეჯიმა.

— არა, არა, — შეგვაწყვეტინა მარო გიორგის ასულმა. — ცხოვრებას არ გავუშვივარ პენსიაზე. აღრეა... ცხოვრება მუშაობაა, შრომაა.

იალბუზზე პირველი ასვლიდან 25 წლის შემდეგ, 1950 წელს, მარო ტყავაძე და მარო ბეჟანიშვილი კვლავ ავიდნენ ხუთათასს მეტრზე მეტ სიმაღლეზე. ხოლო წელს, როცა რუსთაველ ჭაბუკთა ჯგუფმა გადაწყვიტა მოევლო საბრძოლო დიდების ადგილები და ასულიყო მარუხის უღელტეხილზე, მარო გიორგის ასული სათავეში ჩაუდგა 34 კაცისაგან შემდგარ ამ ჯგუფს და ძნელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, წლების მიუხედავად, კვლავ აისხა ალპური აღტაცებულობა და წარმატებით დაძლია თოვლიანი მწვერვალები და კლდეები, გაიმეორა თავისი გმირობა.

რ. დავიდოვი.

გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქტორის მოადგილე.

სურათებზე: ზემოთ — მ. ტყავაძე აიზბეგზე ასვლის წინ 1928 წელს; ქვემოთ — ასვლა მარუხის უღელტეხილზე. წინ — მ. ტყავაძეა.

ფოტო რ. გაბრიელიძისა.



ᲞᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

1969 წლის სექტემბერში აღინიშნება დიდი სომეხი პოეტის პოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა იუბილეს მოსამზადებელი და მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტი, რომელშიც შედიან: ა. სურკოვი (თავმჯდომარე), ს. ბარუზდინი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. ხაჩატურიანი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. აბაშიძე, ტ. აბდუმომუნოვი, პ. ბოცუ, კ. ვორონკოვი, ა. გონჩარი, დ. გრანინი, ნ. ზარიანი, მ. იბრაჰიმოვი, ს. კაპუტიკიანი, ბ. ქერბაბაევი, ვ. კოსოლაპოვი, მ. კოტოვი, ა. ქორჩინიანი, ნ. ლესიუნევსკი, ვ. ლიდინი, გ. მარკოვი, ნ. მესიაცევი, ა. მიქოიანი, ნ. მიხაილოვი, ს. მელქუმიანი, ე. მეუელაიტისი, ს. მიხალკოვი, ტ. ნიკოლაევა, რ. ოვანესიანი, ვ. ოზეროვი, ა. საგიანი, ს. სარტაკოვი, მ. სარიანი, პ. სევაკი (ალაზარიანი). ნ. სიზოვი, კ. სიმონოვი, ლ. სობოლევი, ი. სმუული, ბ. სუჩკოვი, მ. ტანეი, (ვ. სკურკო), ლ. ტატიანიჩევა, ე. თოფჩიანი, მ. ტურსუნზადე, ე. ტიაუელნიკოვი, ე. ფუჩეცევა, ა. შარიპოვი, მ. შაგინიანი, ა. შაპოშნიკოვა, ვ. შაურო, ა. ხაჩატურიანი, ა. ჩაკოვსკი, ა. იანსონსი, კ. იაშენი, გ. მანსიანი (კომიტეტის მდივანი). (საკდესი).



ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲥᲠᲬᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ყუმურის მცხოვრებ ჯულაყიძეების საქონელი ღამით ტყეში დარჩა. გამთენიისას 18 წლის როლანდ ჯულაყიძე საქონლის საძებრად წავიდა. სოფლიდან დაახლოებით ოთხი კილომეტრის გავლის შემდეგ იგი მაღალ მთაზე ავიდა და იქიდან დაუწყო მიდამოს თვალიერება. ცის ფონზე გამოჩნდა უზარმაზარი არწივი, რომელმაც ფრთები შეკეცა და როლანდისაკენ შურდულივით გამოქანდა. რ. ჯულაყიძე არ დაიბნა: მხრიდან თოფი გადმოიღო და როცა ფრინველი დაახლოებით 30 მეტრზე მიუახლოვდა, ესროლა. მტაცებელმა ფრთები გაშალა და იქით დაეშვა, საიდანაც თოფი გაგვარდა. როლანდმა მთასწრო ადგილის გადანაცვლება, ხოლო მკვდარი არწივი ზუსტად იქ დაეცა, საიდანაც თოფი ესროლეს. სამი ნომერი საფანტი თავში მოხვედროდა.

მტაცებელი არწივის ფრთების სიგრძე 2 მეტრი და 12 სანტიმეტრი აღმოჩნდა. იგი მონადირეთა კავშირს ჩაბარეს.

ბ. ახალაძე.

ᲗᲔᲥᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲘᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲗᲘ, სპილო კატრინს სასწრაფოდ დასჭირდა თექურები. უფაში ახალი ცირკის გახსნამდე ოთხი დღით ადრე სპილო, ტერეზა დუროვს 115 სხვა გაწვრთნილ ცხოველთან ერთად, მშვიდობით ჩაიყვანეს. მაგრამ სადგურიდან ცირკში როგორ გადაეყვანათ? ნაზ კატრინს სიცივე არ უყვარს, თოვლში სიარულს მიჩვეული არ არის. ქალაქში არ აღმოჩდა დაბურული სატვირთო მანქანები სპილოების გადასაყვანად.

გადაწყვიტეს კატრინისათვის სასწრაფოდ შეეკერათ თექურები. უფელ მეჩექმეებს შორის აღმოჩნდენ ოსტატები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს უჩვეულო შეკვეთას და სწრაფად შეუკერეს სპილოს თექურები.

ᲘᲠᲔᲥᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲨᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ნორილსკში ხშირად შეხვდებით გარეულ ირმდღოეთის ირმებს. ორორი, სამ-სამი, ზოგჯერ კი მთელი ჯოგი უშიშრად დადის სამშენებლო მოედნებზე, ყნოსავს რკინაბეტონის ბიმინჯებს, ყურს უგდებს პერფორატორების ხმაურს.

სადგურ ტუნდრის რაიონში ჩრდილოეთის ირმების ჯოგმა გააჩერა მატარებელი, რომელსაც მოჰქონდა სასწრაფო ტვირთი — ახალი ობოელექტროსადგურის მოწყობილობა, რომლის მშენებლობა მთავრდება ტალნახში. თბომავლის მეშინაქანის ი. ი. ვრუბლევსკის მიერ მიცემულმა საყვირის ხმამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, იძულებული გახდნენ ეცადათ, სანამ ჯოგი გადაკვეთდა რკინიგზის ლიანდაგს. ამ დროებში კი სამაზავრო მატარებელი დუდინკიდან ოთხი საათის დაგვიანებით ჩავიდა ნორილსკში — ისიც ირმებმა დააგვიანეს.

— 150 ათასზე მეტმა გარეულმა ჩრდილოეთის ირმებმა დატოვა ტრადიციული გამოსაზამთრებელი ადგილები პუტორანის მთებში, უთხრა საკდესის კორესპონდენტს უკიდურესი ჩრდილოეთის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პ. ნ. ვოსტრიაკოვმა. — სულადობის ზრდასთან დაკავშირებით ისინი იძულებული არიან ახალი საძოვრები ეძებონ. და აი, ირმებს „ბახსენდათ“ მარშრუტი, რომლითაც არ უსაფრთხილიათ ოცდაათზე მეტი წელია — ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დაწყების შემდეგ. ისინი მიდიან სამხრეთისაკენ, ეკენკეთში, იქ კი საკვები ყველას ეყოფა.

— ირმები ქალაქის ფარგლებში მოხვდნენ, გვერდი აუარეს ჯერ კიდევ გაუყინავ მდინარეებს და გზა დაებნათ ძილსადენებისა და გზების ქსელში. გზადაგზა გარეულ ირმებს შინაურებიც შეუერთდნენ. პოტაპოვის დაბის მეურნეობიდან უკვე რამდენიმე ათასი შინაური ირმი გაიყოლიეს. ინსტიტუტის თანამშრომლები ახლა აბრუნებენ გაქცეულთ.

ძნელ მდგომარეობაში მოხვედრილ ირმებს დაეხმარნენ ქალაქის მონადირეთა და მებადურთა საზოგადოება, ბუნების დაცვის საზოგადოება, კომკავშირელები. ახალგაზრდათა სპეციალური პატრულები, მილიცია, საზოგადოებრივი ინსპექტორები დგანან ირმების გზაზე, ეხმარებიან დასუსტებულ ცხოველებს.

(საკდესი).

ᲜᲝᲠᲘᲚᲡᲙᲘ.

ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲛᲐ ᲘᲮᲡᲜᲐ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ.. კორ.). ამას წინათ ცხაკაიას სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის 4 თვითსაცლელ მანქანას დაევალა ბრეშის „გამოზიდვა მდინარე ბობისწყლის აუზიდან. ერთ დღეს ცა მოიღრუბლა და წვიმაც წამოვიდა. მძღოლები მუშაობას განაგრძობდნენ. ხობისწყალმა უცებ მომატება იწყო. მღვრიე ტალღები კარგს არაფერს უქადდა ადამიანებს. ისინი შეეცადნენ ავტომანქანების ამოძრავებას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა. როცა წყალმა იძალა, ისინი იქვე მდგარ ექსკავატორის ამწეზე ავიდნენ.

წყალი მატულობდა და მალე მანქანებს ზეიდან გადაუარა. ექსკავატორის ამწეზე ექვსი კაცი იყო. ინჟინერმა კ. ალანიამ და მძღოლმა ო. ბარკალაიამ სასწრაფოდ გაიძარეს ტანსაცმელი და ტალღებს შეეგებნენ. ნაპირზე გასულმა ადამიანებმა გასაჭირი ტელეფონით შეატყობინეს ხორშის საბჭოთა მეურნეობის დირექციას. საქმეში ჩაერთვნენ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, მილიციის მუშაკები. გამოძახებულ იქნა ვერტმფრინავი, რომელმაც ადამიანები გამოსტაცა აბობოქრებულ ტალღებს.

ᲗᲔᲥᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲘᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲗᲘ ᲗᲔᲥᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲘᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝ

● ᲙᲕᲘᲠᲐ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.20 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი საქართველოს პიონერის საკავშირო გამოშვება, 11.00 — „პიონერთა დაფინონი“ (მოსკოვი), 11.45 — ა. მაჟავარიანი, საფორტეპიანო სიუიტა ბალეტ „ოტელოდან“, 12.05 — მუსიკალური რადიოგაზეთი, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. საუბარი „ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა“. 14.00 —მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ქარიშხლის წინ“, 15.00 — მეგობრობის კონცერტი. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — რ. გამზატოვი. ლექსები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის ვოკალური ჯგუფის კონცერტი, 17.30 — საუბარი „სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზატორთა ღვიძლი საქმე“, 17.45 — დ. არაყიშვილი. რომანსები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 —კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — ო. გორდელი ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — რ. ჯიფარიძე. „ჯარისკაცის ქვრივი“. რადიოდადგმა (ნაწილი მეორე), 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 მსუბუქი მუსიკა, 23.30 — ს. ციცანაძე. მუსიკა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „ბილოცავთ დაბადების დღეს!“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.40 — კინონარკვევი, 12.00 — „მელოდიიდან მელოდიამდე“ — საესტრადო კონცერტი, 12.30 — კინონარკვევი, 14.45 — ვთერშია „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა ულიანოვსკიდან), 13.15 — „ობიექტივი“ — სატელევიზიო კლუბი კინოდა ფოტომოყვარულთათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — ბავშვებისათვის. სატელევიზიო თეატრი. (ვ. კავერინი. — „ხლაპარი მიტიაზე, მაშაზე, მხიარულ მებუხრესა და ოქროს ხელმარჯვე ოსტატზე (გადმოცემა ლენინგრადიდან) 16.00 — გადაცემა „სახელმწიფო პრემიის ლაურეატები“, 17.00 — გადაცემათა პროგრამა, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — კინონარკვევი, 17.20 — განცხადებები და რეკლამა, 17.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „თქვენზე ფიქრებში“, 2. „ჩვენი კინოდარბაზი“, 18.20 — „კინოაფიშა“, — 18.50 —„მხიარული ეკრანი“, 19.20 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 20.00 — „ხელოვნების ოსტატები“ — დონატას ბანიონისი (გადმოცემა მოსკოვიდან) 21.15 — კინონარკვევი, 21.55 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.20 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.25 — ქართული ხალხური ფილმი „სხვისი შვილები“, 23.40 — სადღესასწაულო კონცერტი-რეპორტაჟი — 7 ნოემბრის გადაცემის გამეორება (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲙᲕᲘᲠᲐ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზეელობით გეომეტრიაში, 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ბაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 2. მხატვრული ფილმი „მოროზკო“ (ქართული ვარიანტი), 12.20 — კინონარკვევი, 12.50 — „ჩვენი სამშობლოს წმიდა ადგილები“ (გადმოცემა ოდესიდან), 13.20 — გააკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსაავით, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ხახეკარი საუკუნის მატიანე“ 1926 წელი (ქართულ ენაზე), 15.00 — კინოპროგრამა, 15.30 — ირკუტსკის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — კინონარკვევი, 18.20 — გადაცემა „ახალი ქართული დოკუმენტური ფილმები“, 19.20 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.35 — გადაცემა „ქართული სცენის ჯადოქარი“ — უშანგი ჩხეიძე (დაბადების 70 წლისთავის გამო), 20.35 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 21.15 — მხატვრული ფილმი „შემთხვევა, რომელიც ვერავინ შეამჩნია“, 22.30 — „შვიდი დღე“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის. „მხიარული თამაშობანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი“ — 22 ნოემბრის გადაცემის გამეორება (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: „მღერის მარსელ ამონი“ (22 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „იყო და არა იყო რა“..., 18.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 19.00 — გადაცემა „ცხოვრების მხარდამხარ“, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — გადაცემა „ბუნები და გზაჯვარედინები“, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. „ბავშვებისათვის. „აბა დამაკვირდი“; 2. „ბლობუსი“, 20.45 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „აყვავება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“, 22.10 — მხატვრული ფილმი „ათასი ფანჯარა“.

● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ა. სერგეფიმოვიჩი „გალინა“. სატელევიზიო სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „ათასი ფანჯარა“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კონცერტი, 19.05 — „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.25 — „მსოფლიო დღეს“, 19.55 — სასოფლო-სამეურნეო ფილმების ფესტივალი, 20.40 — გადაცემა ციკლიდან „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ქეთევან ღოღობერიძე, 21.15 — მხატვრული ფილმი „ბრასლეტი-2“, 22.30 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — კინონარკვევი, 23.15 — „საჭესთან“ — სატელევიზიო ვიქტორინა (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — გადაცემა ციკლიდან „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ქეთევან ღოღობერიძე (26 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 11.50 — კინოპროგრამა, 13.20 — მხატვრული ფილმი „ბრასლეტი-2“ 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — სტუმრად პროფესორ დატესთან“ (გადმოცემა ეერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან) 18.45 — „ავტომობილი გუშინ, დღეს, ხვალ“, 19.05 — ჩვენი კინოდარბაზი, 19.30 — ციკლიდან „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები“ — უშანგი ქეშუბარია, 19.50 — ეთერშია „ახალგაზრდობა“, 20.10 — მხატვრული ფილმი „მე არყისხე ვარ“, 21.15 — მუსიკალური პროგრამა, 21.45 — „ზოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „კალეიდოსკოპი“ — მუსიკალური პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 23.00 — ხელოვნების ოსტატები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიეო ანჯაფარიძე (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.30 — მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — — ბავშვებისათვის კინოალმანახი „გამოღვიძეს“, 19.20 — განცხადებები, 19.25 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 19.40 — კინონარკვევი, 20.10 — კონცერტი, 20.40 — „ოქრომპირი“ — საბჭოთა-იუგოსლავიური ფილმი, 21.25 — კინონარკვევი, 21.50 — გადაცემა „სერგო კლდიაშვილი“ (მწერლის დაბადების 75 წლისთავის გამო), 22.40 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

● პარასკევი, 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის. „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — გადაცემა „სერგო კლდიაშვილი“ — მწერლის დაბადების 75 წლისთავის გამო (28 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 12.20 — კინონარკვევი, 12.30 — „ხუთი მილიონის კონკურსი“ (გადმოცემა ულონეთიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „კიდევაც გაიზრდებიან“, 18.55 — ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ, 19.10 — გადაცემა „ღვაწლმოსილი მეცნიერი“ — პროფესორი ი. ვინცაძე (დაბადების 70 წლისთავის გამა), 19.30 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — აზერბაიჯანელი პოეტის ვაგიფის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია მოსკოვიდან, 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი „ლონდრე“.

ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ, ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ:

ᲮᲔᲚᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 3 ᲓᲦᲔ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲑᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ ᲒᲐᲜᲣᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲖᲔ“ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲓᲣᲓᲕᲔᲚᲐᲓ

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

1 წლით	6 მან.
ნახევარი წლით	3 მან.
3 თვეზე	1 მან. 50 კაპ.
1 თვით	50 კაპ.

ᲚᲐᲯᲐᲠᲐᲯᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

Შ. ᲨᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ტოსკა (მე-2 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია ბალდასარი, **ვასო აბ